ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 30 ივნისი 1998 №106 (641) ფასი 50 თეთრი


# გერმანია — მექსიკა 2:1

# ჰოლანდია — იუგოსლავია 2:1

REUTERS ტელეფოტო



ჰოლანდიელთა კარზე სლავიშა იოკანოვიჩის იერიშისას იააპ სტამი (№3) გაშეშდა, კლარენს ზეედორფს (№10) კი თმები ყალყზე დაუდგა

## მერვედფინალი

**დ ღ ე ს**

**რუმინეთი — ხორვატია**
ბორდო. 18:30

**არგენტინა — ინგლისი**
სენტ ეტიენი. 23:00

## ჩრდილოეთის მქსპრესი



ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტი პარიზიდან

28 ივნისს, ზაფხულის ამ მშვენიერ კვირა დღეს რამდენიმე წუთიღა აკლდა საფრანგეთის კომაში ჩავარდნას. აბა, ვინ იფიქრებდა, არც გულშემატკივრები, არც სპეციალისტები, არც ჟურნალისტები, ფრანგები რომ ბეწვის ხიდზე ჩამოეკიდებოდნენ.

მოხდა ისე, რომ პირველი ტაიმის ცქერამ მთავარ პრესცენტრში — გამოფენათა პარკში მომიწია. დიდ დარბაზში კომპიუტერებთან მომუშავე 300-მდე ჟურნალისტმა მიატოვა თავისი საქმე და დიდ ეკრანს მიაპყრო მზერა იმ იმედით, ემე ჟაკეს ბიჭები მალე მოითავებენ საქმეს და ჩვენც მუშაობას გავაგრძელებთო.

სამხრეთამერიკელები მეორე ტაიმს ველარ გაუძლებენ — გავიფიქრე და სენ-დენისკენ გავწიე.

ქუჩაში რომ გამოვედი, თვალი მოვკარი რამდენიმეასეულკაციან რიგს, კინოს სალაროსთან რომ გაჭიმულიყო, ასე 17-20 წლისანი იყვნენ უმთავრესად. ერთი კი გავიფიქრე — თქვე კაი დედმამისშვილებო, ყველა უჯიგრომ მაინცდამაინც ამ კინოთეატრთან რავა მოიყარეთ თავი, თქვენი გუნდის თამაშისთვის მაინც გეცქირათ და კინო სად გაგექცეოდათმეთქი. და უცებ წარმოვიდგინე ამ სიტუაციაში თბილისი და თბილისელები...

იხილეთ მეხუთე გვერდი

## ტირილის წუთი

— ნაღდი საცოდაობა გუშინ მოხდა, როგორია მსაჯის მიერ წამატებულ დროში ჩემპიონატთან გამომშვიდობება. იმ ოჯახაშენებულ არბიტრს, რომ ნახა, გოლი გავიდა, რა მოხდებოდა, იუგოსლავიელებისთვის პატარა შანსი მაინც მიეცა? ყველაზე ლოგიკური ჰოლანდია — იუგოსლავიის შეხვედრისას დამატებითი დრო იქნებოდა, მაგრამ სლავებს ბედმა უმუხთლა. ორივე თამაბარი დონის გუნდია. თანამედროვე, გამართულ ფეხბურთს თამაშობდნენ და ამიტომაც იყო, საქმე რომ ნამეტანი გაჭირდა. დარწმუნებული ვარ, მიატოვიჩს ის პენალტი გაეტანა და სულ სხვა თამაში გაჩაღდებოდა. იუგოსლავიელები მეტოქის გამოჭერაზე იყვნენ, მათ შეცდომას ელოდნენ. ამიტომაც ითამაშეს დაცვითი ფეხბურთი

## ექსპერტის კომენტარი ვლადიმერ პ[illegible]

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



და ჩემი აზრით, სწორადაც მოიქცნენ. ჰოლანდიელთაგან დავიდსს გამოვარჩევ. არა, გადამწყვეტი გოლის გატანა არაფერ შუაშია, მთელი გუნდის სული და გული სწორედ ის გახლდათ. ჰოლანდიელთა თითქმის ყველა შეტევა მისი შემწეობით იწყებოდა. იუგებიდან მიჭირს ერთი რომელიმე ფეხბურთელი გამოვყო, თერთმეტივემ დიდი მონდომებითა და თავგანწირვით ითამაშა.

მგონი, ენა არავის მოუბრუნდება თქვას — გერმანია მეოთხედფინალში უსამართლოდ გავიდაო. თუმცა კი ფაქტია, მექსიკელებთან გაუმართლათ. იუგოსლავიასთან მათ იომეს, იბრძოლეს და ანგარიშიც ამიტომ გაათანაბრეს, გუშინ კი, რომ არა მექსიკელი მცველის უხეში შეცდომა, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა. გერმანელებს ასეთი გოლი არ უნდა აჩუქო. ეტყობა, ამერიკელებმა არ იცოდნენ ძლევენს ვის უკეთებდნენ. მერე ფსიქოლოგიური მომენტიცაა, მით უმეტეს, გერმანელებთან თამაშისას აზრზე მოსასვლელად 15-20 წუთი გჭირდება. მექსიკელები დაიბნენ და მეტოქემაც ამით ისარგებლა. მეორე გოლი უკვე მეტად ლამაზი და გონივრული მოქმედების შედეგი იყო. მექსიკელთაგან განსაკუთრებით ერნანდესზე ვიტყვი — დაუზარელი, ტექნიკური, მებრძოლი ბიჭის შთაბეჭდილება დატოვა.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2 ივლისს, ხუთშაბათს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის კლუბში გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის კონფერენცია.

დასაწყისი 12 საათზე.

# შეცარი სიკვდილი ძირითად დროში

მატჩი №54. 29 ივნისი. ტულუზი. სტად მუნისიპალი. 37 500 მაყურებელი

## ჰოლანდია 2:1 იუგოსლავია

1:0 ბერხკამპი (38); 1:1 კომლიენოვიჩი (48); 2:1 დევიდსი (90)

დღიდან სამყაროს შექმნისა, ადამიანის ქცევაში ახალი მართლაც არაფერია. როგორც უხსოვარ დროს ჩხუბობდნენ, ახლაც ისევე ჩხუბობენ, როგორც მაშინ უყვარდათ, ახლაც ისევე უყვართ, როგორც ათა-ბაბადან იტყუებოდნენ, დღესაც ისე იტყუებიან და როგორც საუკუნეების მანძილზე მეგობრობდნენ, ათას ცხრაასიან წლებშიც ისევე მეგობრობენ...

ფეხბურთისთვის ჟამის ათვლა სულ ერთი საუკუნის წინ დაიწყო, მაგრამ მიუხედავად სამყაროსთან შედარებით მცირე ასაკისა, კაცობრიობის მოღვაწეობის ამ სფეროშიც შეიძლება იმავეს თქმა, ზემოთ რომ ვთქვით: როგორც ასი წლის წინ, ახლაც, თამაში მსაჯის საფინალო სასტვენამდე გრძელდება და როდესაც ერთს ნაადრევად ჰგონია, რომ საქმე მოთავრებულია, მეორეს გოლი გააქვს.

წუხელ, მსაჯმა მეორე ტაიმის 45 წუთს კიდევ სამი რომ წაამატა, იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელებმა დამატებით დროზე დაიწყეს ფიქრი, მაგრამ თურმე იმ სამ წუთზე უნდა ეფიქრათ. ჰოლანდიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" ცენტრალურმა ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა კარში დასარტყმელად მომენტი იხელთა და ბურთი ივიცა კრალის კარის ბადეში შეაგდო.

ეს გოლი რომ არ გასულიყო, დაინიშნებოდა დამატებითი დრო უეცარ სიკვდილამდე (ცხადია, თუ რომელიმე მხარე მკვლელობას 30 წუთში მოასწრებდა), მაგრამ რაც მოხდა, იმასაც შეიძლება უეცარი სიკვდილი ვუწოდოთ.

არადა, იუგოსლავიამ უფრო თვითმკვლელობა ჩაიდინა და აი, რატომ: ჰოლანდიელებთან სათამაშოდ მწვრთნელმა სლობოდან სანტრაჩმა წინა შეხვედრებთან შედარებით ტაქტიკა შეცვალა, მოედანზე ხუთი მცველი და მხოლოდ ერთი თავდამსხმელი გაიყვანა. ასეთი განლაგება წინასწარვე თავდაცვაზე მიგვითითებდა და მართლაც, პირველი ტაიმი ისე გაილია, რომ იუგები ფაქტობრივად ცენტრს არ გადაცილებულან. ამასთან დაცვაზე გამგელებულმა გუნდმა შესვენებამდე გოლიც გაუშვა. ფრანკ დე ბურის დაახლოებით ორმოცდაათ მეტრიანი პასით დენის ბერხკამპმა გახსნა ანგარიში. და აი, ასე მოთამაშე ხალხს მეორე ტაიმის დასაწყისმა ძლევნი მიართვა. ჯერ სტანდარტული კომბინაცია ებოძათ, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულეს, სტოიკოვიჩის მიერ საჯარიმოდან შორეულ ძელთან ჩაკიდებულ ბურთს სლობოდან კომლიენოვიჩი გამოუხტა და ბურთი კარში შეაგდო, მერე კი... ჰოლანდიელთა საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილ ვლადიმირ იუგოვიჩს მსოფლიოს უძვირესმა მცველმა იააპ სტამმა მაისური დაქაჩა. იუგოვიჩისთვის, ისევე როგორც დედამიწის ნებისმიერი ფეხბურთელისთვის, ეს იმდენად ჩვეულებრივი რამაა, რომ მას მომენტის გაფორმება და საჯარიმში წაქცევა არც უცდია, მსჯმა, ესპანელმა ხოსე მარია გარსია არანდამ კი არც აცია, არც აცხელა და პენალტი დანიშნა. ამ უცნაური თერთმეტმეტრიანის დარტყმა არანდას კარგმა ნაცნობმა, მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა ითავა, მაგრამ ბურთით ხარიხა შეაზანზარა.

ამის შემდეგ თამაში ისევ ჩვეული სცენარით წარიმართა. ჰოლანდიამ შეუტია, იუგოსლავია კი თავს იცავ და კონტრშეტევებს ეშურებოდა, თუმცა რა შედარებაა, მეორე ტაიმში სლავები გაცილებით წინ იყვნენ წაწეულნი.

ყურადღება ერთმა ეპიზოდმაც მიიპყრო. ეს, მიატოვიჩის უიღბლო პენალტის ამბიდან ცოტა ხანში მოხდა. იუგოსლავიელთა კუთხურის ხაზთან ბურთისთვის სინიშა მიჰაილოვიჩის და ბერხკამპის ორთაბრძოლა გაიმართა. მიჰაილოვიჩი წაიქცა, ბერხკამპმა კი მას არც მეტი, არც ნაკლები დააბიჯა და ზედაც შემოადგა. გარსია არანდამ ჯარიმა დანიშნა, მაგრამ რომელიმე ფერის ბარათის ამოსაღებად ჯიბისკენ ხელი არც წაუღია. აქ, უნებურად საფრანგეთისა და საუდეთის შეხვედრაში ფრანგთა გამთამაშებლის ზინედინ ზიდანის გაძევების ამბავი გაახსენდებოდა კაცს. ზიდანმაც მეტოქეს დააბიჯა, რის გამოც წითელი ბარათითა და ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, ბერხკამპი კი მშრალად გამოვიდა მდგომარეობიდან. ეს ყველაფერი მსაჯთა არაერთგვაროვნებასა და გარკვეული გაგებით მედროვეობაზე მიუთითებს. მაშინ, საფრანგეთისა და საუდის არაბეთის თამაშის დღეს ფიფა განრისხებული იყო, მსაჯებს საგანგებო სიმკაცრეს სთხოვდა. შემდეგ კი უფროსობას სიბრაზემ გაუარა და გარსია არანდამაც ზუსტად იმავე დანაშაულისთვის ყვითელი ბარათის ამართვაც არ ჩათვალა მიზანშეწონილად.

რატომ არ ჩანს იუგოსლავიის ნაკრებში დეიან სავიჩევიჩი? ამ კითხვას, რაც ჩემპიონატი დაიწყო, უთუოდ ხშირად გაიგონებდით. სავიჩევიჩი იმიტომ არ ჩანდა, რომ ბოლო თვეების მანძილზე ტრავმას იშუშებდა, ვერ თამაშობდა და უპრაქტიკოდ დარჩენილი, ალბათ, სანტრაჩის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. წუხელ სავიჩევიჩი მეორე ნახევრის მეორე ნახევარში შევიდა მოედანზე. მან კაპიტანი დრაგან სტოიკოვიჩი შეცვალა, მაგრამ ვერ შეცვალა თამაში. ერთხელ თითქოს, თავისებურად შეიქმნა კიდეც დასარტყმელი პოზიცია და დაარტყა კიდეც, მაგრამ ცუდად. წუხელ დეიან სავიჩევიჩი ჩრდილი იყო იმ ბიჭისა, ამ ოთხი წლის წინ ფაბიო კაპელოსეულ დიდ „მილანში" რომ ბრწყინავდა და ისე დაგვამახსოვრა თავი, რომ აგერ, ახლაც გაფაციცებით ვკითხულობდით: სავიჩევიჩს არ ათამაშებენ?

და ბოლოს, მოსახდენი მოხდა. დავიდსმა ზუსტად დაარტყა და გუნდი რომელიც უტევდა, მეოთხედფინალში გაიყვანა, ხოლო გუნდმა, რომელიც არ უტევდა, დასტოვა მსოფლიოს ჩემპიონატი.

**ილია ბაბუნაშვილი**



მიატოვიჩი და იოკანოვიჩი ჰოლანდიელი სტამის წინააღმდეგ




პრედრაგ მიატოვიჩის საბედისწერო პენალტი

ჰოლანდია

1. ვან დერ სარი

2. რაიციგერი — 3. სტამი — 4. ფ. დე ბური — 5. ნუმანი

7. რ. დე ბური — 10. ზეედორფი — 16. დავიდსი — 14. ოვერმარსი

11. კოკუ — 8. ბერხკამპი

9. მიატოვიჩი

10. სტოიკოვიჩი

7. იუგოვიჩი — 6. ბრნოვიჩი — 16. პეტროვიჩი

13. კომლიენოვიჩი — 2. მირკოვიჩი

11. მიჰაილოვიჩი — 4. იოკანოვიჩი — 3. ჯოროვიჩი

1. კრალი

იუგოსლავია

შეცვლა: **მიატოვიჩი — 8. სავიჩევიჩი (57), მიჰაილოვიჩი — 14. საველიჩი (79)**

გაფრთხილება: **სტოიკოვიჩი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი**

მთავარი მსაჯი: **ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)**

### მატჩის შემდეგ

**დენის ბერხკამპი**, ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი: „გულწრფელად გეუბნებით, რომ ვიცოდით, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. რაც შეეხება თავად შეხვედრის მიმდინარეობას, პენალტის შემდეგ ყველაფერი ერთიორად გაძნელდა. თავად თერთმეტმეტრიანზე კი რა გითხრათ, ცუდი იყო. თავიდან, სხვათა შორის, ნელ ტემპში დავიწყეთ თამაში, მაგრამ საბედნიეროდ ჩქარა ვერც მოწინააღმდეგემ ითამაშა. საბოლოოდ კი ძლიერები ვიყავით და ამიტომაც გავიმარჯვეთ კიდეც."

კითხვაზე, მეოთხედფინალში ვისთან ურჩევნია შეხვედრა, არგენტინასთან თუ ინგლისთან, ბერხკამპმა უპასუხა: „ორივე ძალიან ძნელად დასამარცხებელი და ძალიან კარგი გუნდია."

**მარკ ოვერმარსი**, ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი: „მართალი გითხრათ, ცოტა დაღლილები ვიყავით, მაგრამ ძალიან კარგია, რომ ძირითად დროში გავიმარჯვეთ და დამატებითი აღარ დაგვჭირდა. ბედნიერი ვარ. ვგონებ, ვიმსახურებდით ამ გამარჯვებას. ჩვენ ხომ გაცილებით მეტი მომენტი შევქმენით."

**ფრანკ დე ბური**, ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანი: „მიატოვიჩმა პენალტი რომ ვერ გაგვიტანა, იმის მერე დაახლოებით ხუთ წუთში გონს მოვეგეთ და ისევე გავაგრძელეთ, როგორც პირველი ტაიმის ბოლოს ვთამაშობდით. მეოთხედფინალში გასვლა ჩვენ გვეკუთვნოდა. მეორე გოლის გატანა მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავი გახლდათ."

**სლობოდან სანტრაჩი**, იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი: „ბედმა ზურგი გვაქცია, მაგრამ ესეც ფეხბურთის ნაწილია. დამატებით დროში ჩვენ მოვიგებდით, თუმცა ახლა ჰოლანდიელებს ვულოცავ გამარჯვებას. მიჰაილოვიჩის დაშავების შემდეგ ცოტა ყურადღება გაგვეფანტა და მეტოქეთა პერსონალური მეურვეობა გაგვიძნელდა. პირველ ტაიმში ჩვენი სტრატეგია თამაშის დაწყნარება იყო, მეორეში კი მეტად გავიხსენით."

**ზელიკო პეტროვიჩი**, იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელი: „პენალტი რომ დაინიშნა, 1:1 იყო, ანუ 2:1 უნდა გამხდარიყო ჩვენს სასარგებლოდ. ასე რომ მომხდარიყო, გოლის მერე ყველაფერს გადავკეტავდით და გავიმარჯვებდით. სირცხვილია, რომ ასეთი უბრალო რამისთვის დავისაჯეთ.

### მატჩის სტენოგრამა

4 წუთი. ბერხკამპმა მარცხნიდან საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი კოკუს თავური დარტყმა იუგებმა კუთხურზე მოიგერიეს.
17. კოკუმ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით კარში გადაგზავნა, თუმცა მცირედით ააცილა.
22. ოვერმარსი მარცხნიდან შეიჭრა და ბერხკამპს დაუგორა. თავდამსხმელს მცველი ჩაუწვა.
23. ნუმანმა კოკუსთან გათამაშების შემდეგ უძლიერესად დაარტყა. კრალმა მოიგერია.
26. კოკუს პასით ზეედორფმა ძლიერად დაარტყა. კვლავ მეკარე.
37. ზეედორფის ჩაწოდება კოკუმ თავურით გააგრძელა, კრალმა კი ბურთი ნახტომში დაიჭირა.
38. რონალ დე ბურის გრძელი პასის შემდეგ ბერხკამპმა მირკოვიჩს აჯობა და ძლიერად დაარტყა. კრალი ბურთს ხელით შეეხო, თუმცა იგი ვერ შეაჩერა — 1:0.
40. მიჰაილოვიჩმა დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა. ვან დერ სარი ადგილზეა.
41. ოვერმარსს თამაშგარე დაუდგინეს. მსაჯი შეცდა.
48. სტოიკოვიჩის ჯარიმა კომლიენოვიჩმა თავურით გააგრძელა — 1:1.
52. სტამმა იუგოვიჩს მაისურზე მოქაჩა. არბიტრმა პენალტი დადო. მიატოვიჩმა ბურთი ხარიხას გაარტყა.
53. კუთხურის ალამთან ორთაბრძოლისას ბერხკამპმა მიჰაილოვიჩს კინაღამ ნეკნი ჩაამსხვრია.
67. ოვერმარსი მარჯვნიდან შეიჭრა, თუმცა მცირედით ააცილა.
69. კოკუს თავური მცირედით ასცდა კრალის კარს.
74. ზეედორფის ჩაწოდების შემდეგ კოკუმ თავი დაარტყა. კრალი ადგილზეა.
79. ბერხკამპი დააჯარიმეს, კოკუს კი გოლი არ ჩაუთვალეს.
80. სტამის თავურ დარტყმას კრალი იგერიებს.
86. სავიჩევიჩის გასროლილს ვან დერ სარი გადაელობა.
90. ზეედორფის დარტყმას კრალი კუთხურზე იგერიებს. ოვერმარსის დარტყმასაც კუთხური მოსდევს, ამჯერად კი დავიდსი ხეირობს — მისი შორეული დარტყმა კრალმა ვერ მოიგერია — 2:1.

# ბებერი ლომები

**მატჩი №53. 29 ივნისი. მონპელიე. სტად დე მოსონი. 35 500 მაყურებელი**

## გერმანია 2:1 მექსიკა

0:1 ერნანდესი (47); 1:1 კლინსმანი (75); 2:1 ბირჰოფი (86)

თქვენ გინდ მოხუცები უწოდეთ, გინდ გადაბერებულები, გინდ... რაც გნებავთ, ის უწოდეთ, მაგრამ გერმანია, უფრო კონკრეტულად კი გერმანიის ნაკრები ყოველთვის იმ გუნდად დარჩება, ბოლო წამამდე რომ იბრძვის და გამარჯვების ღრმად რომ სწამს. გერმანიის ნაკრები იყო, არის და იქნება ის გუნდი, რომელიც მექსიკასთან და მისთანებთან არასოდეს შერცხვება. სულაც არ ვცდილობ მექსიკელთა დამცირებას, პირიქით, საკმაოდ კარგი ნაკრებია და მანუელ ლაპუენტეს მართლაც ძლიერი გუნდი ჩამოუყალიბებია, მაგრამ მაინც მექსიკა მექსიკაა, გერმანია კი გერმანია. ამით ყველაფერი ნათქვამია.




REUTERS მონპელიედან

ბირჰოფის (№20) მორიგი გამარჯვების მომტანი თავური დარტყმა

ამ ჩემპიონატზე გერმანიის ღირსებას ვეტერანები იცავენ. ვერ გეტყვით, შეგნებულად აირჩია ბერტი ფოგტსმა ასაკოვანი მოთამაშეები, თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი აქცენტს გამოცდილ მობურთალებზე აკეთებს. ნაკრების ხერხემალს სწორედ ვეტერანები წარმოადგენენ. ალბათ, სწორედ ამის გამოა, რომ ბუნდესნაკრები მაინცდამაინც ლამაზი ფეხბურთით ველარ დაიკვეხნის, მაგრამ სამაგიეროდ რა შემართებით თამაშობს! ან რა მატჩები, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოატრიალა!

განა ახლა, ამ შეხვედრაშიც ასე არ მოხდა? ის, რომ გერმანელებთან ბოლომდე ბრძოლაა საჭირო და გაათმაგებული ყურადღებით თამაში, ვფიქრობ, ყველას კარგად მოეხსენება. დარწმუნებული ვარ, ზემოთქმულის შესახებ მექსიკელებმაც კარგად უწყოდნენ. მაგრამ ამით რა გამოვიდა? არაფერი. რაც არ უნდა იყოს, მექსიკელნი ტემპერამენტიანი, დარდიმანდი ხალხია. ეგებ გატანილი გოლის შემდეგ იფიქრეს კიდეც, მოვიგეთ და ეგააო. ვერ გეტყვით. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ დაწინაურების შემდეგ მათ თამაშში გარკვეულწილად მოდუნება შეინიშნებოდა, უფრო დაცვითი თამაშისკენ გადასვლა, საკუთარ ნახევარზე გამაგრება. შიგადაშიგ მექსიკა კი უტევდა, საკმაოდ სახიფათოდაც, მაგრამ ეს უფრო მომენტის ხელში ჩავდებისას ხდებოდა, თორემ შეგნებულად მექსიკელებს თავდასხმა არ განუხორციელებიათ. შედეგიც სავსებით ლოგიკურია 1:2.

ისევ იურგენ კლინსმანი და ოლივერ ბირჰოფი. ისევ ამ ჩემპიონატის საუკეთესო თუ არა, თავდამსხმელთა ერთ-ერთი ძლიერი წყვილის გაბრწყინება. გერმანია სირცხვილისგან ამ ორმა თავდამსხმელმა იხსნა — გამოცდილმა ვერეტანმა და იღბლიანმა მეთავურემ. კლინსმანი ძველებურად რომ ვერ ირჯება, ფაქტია. ასაკმა მაინც თავისი გაიტანა, მაგრამ მიუხედავად საფეხბურთო სიბერის შეპარვისა, იგი მაინც ერთ-ერთი დიადი თავდამსხმელია ფეხბურთის ისტორიაში. ძველებურად ველარ ჰაექრობს მეტოქეებთან, უწინდელივით ველარ ერთვება საჰაერო ორთაბრძოლებში, მაგრამ ამის კომპენსაციას ბრწყინვალედ შერჩეული პოზიციის წყალობით ახერხებს. განა მისი გოლი შესანიშნავი პოზიციური თამაშის შედეგი არ გახლდათ? სხვა საქმეა ბირჰოფი. იგი ნამდვილი გოლეადორია. შეიძლება ისე ვერ ქმნის გოლს, როგორც საჭიროა, მაგრამ შეტევებს რომ უძლიერესად აგვირგვინებს, ამას თქმა არ უნდა. ამჯერად მან კვლავ თავით იხეირა. კვლავ მცველებთან ორთაბრძოლისას. მის დარტყმას ჩია კამპოსი კი არა, მექსიკელზე ფიზიკურად გაცილებით ძლიერი მეკარე ვერ მოიგერიებდა. ბურთი უსწრაფესად და, რაც მთავარია, უზუსტესად გახლდათ დარტყმული.

— ჩვენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებთან წაგებისთვის არავინ დაგვძრახავს. მექსიკისთვის მერვედფინალი უკვე მიღწევაა. ცხადია, სასურველია შორს წავიდეთ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, თავს მაინც თავს ბედნიერად ვგრძნობ — განაცხადა წინა დღით აწ უკვე დამარცხებულთა თავკაცმა მანუელ ლაპუენტემ. ჩვენ არავინ დაგვძრახავს ამდენგზის მსოფლიოს ჩემპიონთან თუ წავაგეთ... ეს სიტყვები ლამისაა, შედარებით სუსტი გუნდის მწვრთნელთა გასამართლებელ საბუთად იქცეს. რას ნიშნავს, არავინ დაგვძრახავს? მარცხის გამო ჯერ არავინ შეუქიათ. თუ წააგე, მიუხედავად იმისა კარგად ითამაშე თუ არა, ესე იგი მეტოქეს ვერ აჯობე. წაგება წაგებაა. მორჩა და გათავდა. თუ ასეთი ფსიქოლოგიით მივუდექით მატჩს, მაშინ თამაშს აზრი აღარ ჰქონია და ეგაა. გამოდის, რომ ბრაზილიამ, გერმანიამ, არგენტინამ და იტალიამ ნახევარფინალებიდან უნდა ითამაშონ... არა, მატჩისადმი ასეთი მიდგომა და, მით უმეტეს, გერმანელებთან შეხვედრის წინ, ხეირს არ მოიტანდა. ასეც მოხდა. გერმანიამ მართალია ძნელად, მაგრამ მაინც მოიგო. ლაპუენტეს რა ანალვლებს, მას მაინც არავინ დაძრახავს...

აქამდე მექსიკა გერმანიას ორჯერ დაპირისპირებოდა, მაგრამ ეს 1978 და 1986 წლებში მოხდა, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არსებობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მეტოქეთა პირველი მატჩი, ოცი წლის წინ, ჯგუფური ტურნირისა გახლდათ და ბუნდესნაკრების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა 6:0. რვა წლის შემდგომი დაპირისპირება კი მეოთხედფინალისა იყო. ძირითადი და დამატებითი დრო ისე გაილია, გოლი არ გასულა, პენალტებში კი 4:1 ევროპელებმა იმარჯვეს. ეს, მესამე შეხვედრაც დამატებითი ორი ტაიმისკენ მიექანებოდა, მაგრამ შეცვლაზე შესული ულფ კირსტენის ჩაწოდებული ბურთი ბირჰოფმა კარში შეაგდო და მეოთხედფინალშიც გერმანელები გაიჭრნენ.

ფეხბურთს დაბადებისთანავე შობილმა დაუწერელმა საფეხბურთო კანონმა — ვერ გაიტან, გაგიტანენ, ამ თამაშშიც იმოქმედა. ჯერ კიდევ მექსიკელთა მინიმალური უპირატესობის დროს ლაპუენტეს ბიჭებმა ძალიან სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს — შეცვლაზე შესულმა ყმაწვილკაცმა არელანომ უსწრაფესად განვლო მოედანი, მარცხენა ფლანგზე ბლანკო მონახა, ამან თავის მხრივ ერნანდესი, ამ უკანასკნელის ისე რა დარტყმულს კი კიოპკე დაეუფლა. ანგარიშის გამხსნელ ლუის ერნანდესს თამაშგარე ეგონა, თორემ მომენტს ქარს არ გაატანდა. მექსიკელებმა ვერ გამოიყენეს ის, რითაც უნდა ეხეირათ, შესაბამისად დაისაჯნენ კიდეც.

მართალია, ბერტი ფოგტსს და მის დამსჯელ რაზმს, ცოტა არ იყოს, შეაგვიანდათ სასჯელის სისრულეში მოყვანა, მაგრამ მაინც. ისე, მექსიკელთა 21-ე ნომერი ხესუს არელანო ნაღდად კარგი, ნიჭიერი ბიჭია...

ბუნდესნაკრები მეოთხედფინალში გავიდა. ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ, მაგრამ მერვედფინალი იოლად რომელ გუნდს დაუძლევია. გერმანია ახლა ან ხორვატიას შეხვდება, ან რუმინეთს, ვნახოთ, დღეს რომელი იმარჯვებს. ორივე აღმოსავლეთ ევროპელი კარგი გუნდია, სახიფათო, მაგრამ გერმანია მათთან მაინც ფავორიტად ჩაითვლება. ბერტი ფოგტსის ნაკრები იქნებ ბრწყინვალე გუნდი არაა, მაგრამ მათი შემართება, ბოლო წუთებში ლომისებური ბრძოლა რომ კარგი სანახავია, ამას თქმა არ უნდა. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ ანდრეას კიოპკემ ამ ბოლო დროს რაღაც შეცდომებს მოუხშირა.

ნაკლოვანებებით საუბრის დასრულება, აბა, რა სასიამოვნოა. ჰოდა, მეც კარგით დავამთავრებ — იურგენ კლინსმანისთვის კამპოსის კარში შეგდებული გოლი მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გატანილი მე-11 ბურთი აღმოჩნდა, ამ შედეგით კი მან მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა და უნგრელ შანდორ კოჩიშს შეუამხანაგდა. წინ მხოლოდ კლინსმანის თანამემამულე გერდ მიულერი (14 გოლი) და ფრანგი ჟიუსტ ფონტენი (13) არიან.

**ლაშა გოდუაძე**

### მატჩის შემდეგ

**ოლივერ ბირჰოფი**, მექსიკის ნაკრების კარში გადამწყვეტი გოლის გამტანი: „დღეს მექსიკის ნაკრებმა მშვენივრად ითამაშა. არ ველოდი, ასეთ წინააღმდეგობას თუ გაგვიწევდნენ, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მაინც უკეთესად გავისარჯეთ და გამარჯვება სრულიად დამსახურებულად მოვიპოვეთ. მეტოქემ მთელი თამაში კონტრშეტევებზე ააგო და ერთ მომენტში ორი ბურთით დაწინაურებაც შეეძლო. ჩვენ დაახლოებით ტაიმნახევარი დაგვჭირდა, რათა მათი დაცვისთვის გასაღები მოგვერგო და კამპოსის კარი დაგველაშქრა. იქნებ ვინმე შემომედავოს კიდეც, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ დღევანდელი შეხვედრის უფრო დიდი ანგარიშით მოგება შეგვეძლო. გუნდმა ორივე ტაიმში გოლის გატანის რეალური მომენტები შექმნა, თუმცა დამაგვირგვინებელ დარტყმას საშველი ვერაფრით დავაყენეთ, ასე კი დღევანდელ ფეხბურთში ვერავის მოუგებ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მექსიკელებს ძალიან კარგი ნახევარდაცვის და თავდასხმის ხაზი ჰყავთ, მაგრამ თუ ნათამაშევ ოთხმოცდაათ წუთს თვალს გადავავლებთ, მაინც მგონია, რომ მეოთხედფინალში გასვლას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით. საერთოდ, ჯგუფურ ტურნირში ჩვენი თამაშით უკმაყოფილონი ვიყავით და მწვრთნელიც აქტიური მოქმედებებისკენ მოგვიწოდებდა. ამ შეხვედრაში გუნდს პროგრესი დიდად არ დასტყობია, მაგრამ წინა შეხვედრებთან შედარებით მაინც უკეთ გავისარჯეთ. ვფიქრობ, მეოთხედფინალში კიდევ უფრო მოვუმატებთ და შევეცდებით, გაცილებით ძლიერად ვითამაშოთ.

**ლუის ერნანდესი**, მექსიკის ნაკრების თავდამსხმელი: ჩვენ ვამაყობთ დღევანდელი მატჩით. მექსიკის ნაკრებს საფრანგეთში ჩასვლის დღიდან ყველა აუტსაიდერად მიიჩნევდა და მისი სიძლიერის არავის სჯეროდა. ახლა, ვფიქრობ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ფეხბურთის თამაში ჩვენც ვიცით და ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოვადგენთ. ჩვენი ნებისყოფა და გამარჯვებისაკენ მიზანსწრაფვა ჯერ კიდევ ჯგუფურ ტურნირში გამოვლინდა. სამივე შეხვედრაში ანგარიშს მეტოქეები ხსნიდნენ და სამჯერვე შევძელით თამაშში გარდატეხის შეტანა. დღესაც უდიდესი თავდადებით ვიბრძოლეთ. ყველაფერი გავიღეთ, რაც კი შეგვეძლო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ იყო. გერმანიის ნაკრები დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია და ეს მან ჩვენთან შეხვედრაშიც დაამტკიცა. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ 1:0-ზე ასპროცენტიანი მომენტი ხელიდან რომ არ გამეშვა, საკითხავია, მეოთხედფინალის საგზურს ვინ ჩაიჯიბავდა."

**ბერტი ფოგტსი**, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ჩემი გუნდის ფეხბურთელებმა ამ სიცხეში კარგა გვარიანად გაიწვალეს თავი. მექსიკელთათვის დაწინაურების საშუალება არ უნდა მიგვეცა, რადგან როგორც კი ეს მოახერხეს, დაცვაში ჩასხდნენ და გოლის გატანა გაგვირთულეს. იურგენ კოლერი ნაკრების ერთ-ერთი ცენტრალური ფეხბურთელია. იგი თამაშს ორგანიზებას უწევს, თანაგუნდელებს დარიგებებს აძლევს და როცა საჭიროა, ყველაზე მეტს ყვირის. ამიტომ იგი დღეს ძალიან გვაკლდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კოლერის შემცვლელი ბაბელი მშვენივრად გაისარჯა. მან უზარმაზარი შრომა გასწია და გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. საერთოდ, დღეს ერთობ სუსტად ვითამაშეთ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მომდევნო შეხვედრებში უკეთ გავირჯებით და წარმატების მიღწევაც გაცილებით გაგვიადვილდება. ჯერ შინ გაბრუნება არ გვსურს.



REUTERS მონპელიედან

კვატემოკ ბლანკომ (№11), მიუხედავად კიოპკეს და მათეუსის წინააღმდეგობისა, მეკარის ერთ-ერთი შეცდომა კინაღამ გოლად აქცია

**გერმანია**

1. კიოპკე
2. ვიორნსი, 21. ტარნატი
3. ჰაინრიხი, 5. ჰელმერი
16. ჰამანი, 8. მათეუსი, 10. ჰესლერი, 14. ბაბელი
20. ბირჰოფი, 18. კლინსმანი

**მექსიკა**

11. ბლანკო, 15. ერნანდესი
13. პარდო, 5. დავინო, 8. ასპე, 17. პალენსია
4. ვილა, 2. სუარესი, 3. სანჩესი, 6. ბერნალი
1. კამპოსი

შეცვლა: **ჰელმერი — 17. ციგე (38), ბერნალი — 18. კარმონა (46), პალენსია — 21. არელანო (53), ჰაინრიხი — 7. მიოლერი (58), ჰესლერი — 9. კირსტენი (74), ასპე — 9. პელაესი (87)**

გაფრთხილება: **ბაბელი, მათეუსი, ტარნატი, ჰამანი, დავინო, ბლანკო**

მთავარი მსაჯი: **მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)**

### მატჩის სტენოგრამა

6 წუთი. გარსია ასპეს სახიფათოდ დარტყმულ ჯარიმას ვიორნსი გადაეფარა და კუთხურზე მოიგერია.

14. ბირჰოფის პასით ჰაინრიხმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან მოინდომა მეტოქის კარის დალაშქვრა, არაზუსტად.

15. ბერნალის შორიდან გასროლილი კიოპკემ ცუდად მოიგერია, მაგრამ ბლანკოს მცველმა დაასწრო და განმუხტა სიტუაცია.

20. ბირჰოფის პასით კლინსმანი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი წინ გაიგდო და კამპოსმა დაასწრო.

23. გარსია ასპეს შორიდან სახიფათოდ დარტყმული კარს ასცდა.

28. მატეუსის ჩაწოდებულს კლინსმანის თავური მოჰყვა, მაგრამ ერთობ სუსტი აღმოჩნდა და მისი აღება კამპოსს არ გასჭირვებია.

35. ბირჰოფის ნახევარბრუნით დარტყმული კარს მცირედით ასცდა.

38. ბაბელი ორ მცველს გასცდა და ტარნატს დაუგორა, მანაც უძლიერესად დაარტყა, მაგრამ კამპოსმა აკრობატული ნახტომით მოიგერია.

40. ჰესლერის ფლანგურ გარღვევას და ჩაწოდებას ბირჰოფმა თავური მოაყოლა, ბურთი ხარიხას მოხვდა და მიწიდან ასხლეტილი მინდორზე დაბრუნდა.

42. ერნანდესის პასით მეკარესთან პირისპირ გასული პალენსია კიოპკემ დაამწუხრა.

47. ბლანკო გერმანელთა საჯარიმოს მიუახლოვდა და ერნანდესს უპასა, ისიც ტარნატს გასცდა და ახლო მანძილიდან კიოპკეს შორეულ კუთხეში გაუტანა — 0:1.

50. კარგ მდგომარეობაში მყოფ პალენსიას მცველებმა თავით დარტყმის საშუალება არ მისცეს.

61. გერმანელთა ლამაზი შეტევა ბირჰოფის დარტყმით დასრულდა, ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა ძელს.

63. არელანომ უსწრაფესად გადასერა მოედანი და საჯარიმოში შეიჭრა, მათეუსმა მოგერიება სცადა, კარში დარტყმა კი გამოუვიდა, თუმცა ჯერ კიოპკემ იმარჯვა, შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე ერნანდესმა ვერ ივარგა.

65. ბაბელის ჩაწოდებულს ბირჰოფმა დაჰკრა თავი, ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს.

75. ლარამ ჰამანის ჩაწოდებულის მოგერიება სცადა, მაგრამ ბურთი ფეხებს შუა გაუძვრა და კლინსმანს ახლო მანძილიდან აღარ გასჭირვებია გათანაბრება.

86. კირსტენმა გამოზომილი პასი მისცა ბირჰოფს, რომლის თავური მექსიკელთა კარის ცხრიანში შევარდა,

90. კიოპკე გამოსვლაზე შეცდა, ბურთი ბლანკოს მიუვიდა, რომელმაც ჩააწოდა, ერნანდესის თავურის მოგერიება კი მეკარეს აღარ გასჭირვებია.

მატჩი №56. არგენტინა — ინგლისი. სენტ ეტიენი. 23:00

# დიდი ისტორიის გაგრძელება



1966 წელი. ჰანტი (21), სტაილზი (4) და ბობო ჩარლტონი (9) არგენტინელთა კარში გატანილ ერთადერთ გოლს ზეიმობენ. თავად გოლის ავტორი, ჰერსტი კადრში არ ჩანს

მსოფლიო ჩემპიონატების ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ისიცაა, რომ დროთა განმავლობაში ამ უდიდეს ტურნირზე ჩამოიქნა წყვილები, რომლებსაც ხშირად უწევთ ერთმანეთთან შეხვედრა. მაგალითად ბრაზილიელთა და შოტლანდიელთა მეტოქეობაც კმარა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მნიშვნელოვან წყვილთან გვაქვს საქმე. უკვე მეოთხედ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ინგლისელები და არგენტინელები ერთმანეთს ხვდებიან.

ჩემპიონატის ბედის ბორბალი ისე დატრიალდა, რომ ინგლისელები და არგენტინელები პლეი ოფის პირველსავე ეტაპზე დაეჯახნენ ერთმანეთს. ასეთი რამ ადრეც ყოფილა, მაგრამ მაშინ მერვედფინალი არ არსებობდა. ეს იყო 32 წლის წინათ, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ.

წლევანდელ ადრეულ დაწყვილებაში კი რუმინეთის ნაკრებია „დამნაშავე". უფრო სწორად, ინგლისელთა უგერგილო თამაში რუმინელებთან მატჩში და მარცხი. არგენტინელებს და ინგლისელებს ჰქონდათ შანსი, მოგვიანებით შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ადირან ილიემ და მისმა ამხანაგებმა ეს შანსი მოსპეს.

დღეს სენტ ეტიენში ერთმანეთის პირისპირ დადგება ორი გამორჩეული, თავისთავადი, ძირისძირშივე განსხვავებული გუნდი. და არა მარტო გუნდი, არამედ ორი გამორჩეული მესაჭე ფეხბურთის ორი საუცხოო კაცი — დანიელ პასარელა და გლენ ჰოდლი.

პასარელაცა და ჰოდლიც ერთი თაობის ხალხია. ისინი 80-იანი წლების ბოლოდან გამოჩნდნენ საერთაშორისო ფეხბურთში და ორივენი საუცხოო მოთამაშენი, ნაღდი ვარსკვლავები იყვნენ. დანიელ პასარელა ორ მსოფლიო ჩემპიონატზე კაპიტნობდა არგენტინელებს, მესამეში კი ისე აიღო თავისი კუთვნილი ოქროს მედალი, რომ ერთხელაც არ გამოუყვანიათ მოედანზე. არგენტინელთა გუნდში ის განასახიერებდა სიმტკიცეს და სულს და თუმცა ამ გუნდის გამარჯვებებს თითქოს სხვა მოთამაშენი ქმნიდნენ, პასარელა ნაღდი ბელადი იყო, მისი ოსტატობა სადა და შთამბეჭდავი გახლდათ. იყო მომენტები, როცა პასარელა-მცველი მთელს მოედანს იპყრობდა ხოლმე.

ჰოდლი სულ სხვა ყაიდის მოთამაშე იყო. ის უფრო ინტელექტუალურ ლიდერს ჰგავდა, თუმცა, მოწოდებით არასოდეს ყოფილა ბელადი. ის საოცრად მახვილგონიერი და ნატიფი მოთამაშე იყო, თუმცა, ნაკრებში ეგრეც ვერ იტვირთა ლიდერის ფუნქცია. ჰოდლმა ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა, მაგრამ, მისი და პასარელას, როგორც ფეხბურთელების ბედი ერთხელაც არ გადაკვეთილა ამ დიდი შეჯიბრის მინდვრებზე.

1982 წელს, როცა პასარელა არგენტინელთა გუნდის ბურჯი და ლიდერი იყო, ჰოდლმა სულ თამაშნახევრით დაიგემოვნა ჩემპიონატი და ისიც ჯგუფურ ტურნირში. თანაც, ის ჩემპიონატი ისე დასრულდა, რომ ინგლისელთა და არგენტინელთა გზები არ გადაკვეთილა.

ოთხი წლის შემდეგ, მეხიკოში, ჰოდლი, როგორც გამთამაშებელი, ისე გამოუძღვა გუნდს მოედანზე. ეს იყო მეოთხედფინალური მატჩი არგენტინელთა წინააღმდეგ, მაგრამ პასარელა არ თამაშობდა.

ასე რომ, ისინი მსოფლიო ჩემპიონატის მინდვრებზე ერთმანეთს არ შეხვედრიან. სამაგიეროდ, ხვალ ხვდებიან, როგორც მწვრთნელები. და ამაში, მწვრთნელობაში, ისინი გვიან კიდეც ერთმანეთს. პასარელა-ფეხბურთელი ბევრად უფრო ტიტულოვანი იყო, ვიდრე ჰოდლი-ფეხბურთელი. პასარელა-მწვრთნელს მოგებული აქვს საკლუბო ტიტულები, ჰოდლ-მწვრთნელს, არა. მისი ერთადერთი ტიტული შარშანდელი „ოთხთა ტურნირის" მოგებაა. მათ შორის მსგავსება კი ის არის, რომ საკმაოდ ახალგაზრდები მოვიდნენ ნაკრების საჭესთან. ორივეს შთამბეჭდავი საკლუბო მოღვაწეობის გამო უხმეს ნაკრებში. ორივე რთული გზით მოდიოდა მსოფლიო ჩემპიონატისკენ, რადგან ორივეს თავისი საფეხბურთო ფილოსოფია აქვს. არგენტინულმა მედიამ მაშინღა დაისვენა პასარელას ლანძღვისგან, როცა შეამჩნია, რომ ამ ლანძღვა-თათხვაში პასარელამ საუცხოო გუნდი შექმნა. ინგლისურმა მედიამ თავიდან ხოტბა უძღვნა ჰოდლს, მერე კი მსუბუქი შეჯორვაც დაუწყო.



დღეს ბატისტუტამ უნდა იბატისტუტოს

როგორც პასარელა ამბობს, ის არ წარმოადგენს არც ერთ არგენტინულ სამწვრთნელო სკოლას და ნაკრებს ისე ათამაშებს, როგორც თავად მიაჩნია სწორად. ჰოდლიც რომ ძნელად შეადარო რომელიმე ინგლისელ მწვრთნელს. თუმცა, ერთიც და მეორეც თავიანთი ქვეყნების ფეხბურთის შვილები არიან და საუკეთესო ტრადიციული თვისებები არ დაუკარგეს ნაკრებებს.

ორივე, პასარელაცა და ჰოდლიც, მკაცრი სტილის მიმდევარნი არიან. მათი გუნდები არ თამაშობენ თავზეხელაღებულად და რომანტიკულად. ორივე მათგანი აფასებს შემსრულებლებს, თუმცა, ამ მხრივ ერთგვარი ხუშტურებიც სჭირთ. პასარელაცა და ჰოდლიც, საკმაოდ ჭირვეული ხალხია და თავი მორალისტებად მოაქვთ. პასარელას ოდინდელი დევიზი იყო: „არც ერთი მამათმავალი, არც ერთი საყურიანი, არც ერთი გრძელთმიანი ეროვნულ გუნდში". ჰოდლის ნათქვამი კი დაახლოებით ასე ჟღერდა — „ნაკრებში მხოლოდ მორალურად სუფთა პიროვნებები ითამაშებენ". თუმცა, პირველმაც და მეორემაც, ეს უფრო თავიანთი პიროვნული შეხედულებების დასაფიქსირებლად უფრო გააკეთეს, ვიდრე საფეხბურთო საქმისთვის. როგორც კი გუნდის ინტერესები მოითხოვდა, ჰოდლიც დაივიწყებდა ხოლმე გაზას მიერ ცოლის ცემას და პასარელასაც დიდხანს არ უფიქრია, შეეყვანა თუ არა ოცდაორ კაცში გაბრიელ ბატისტუტა. თუმცა, თითო გამორჩეული კაცი, იგივე გესქოინი და ფერნანდო რედონდო, მაინც აკლია ამ გუნდებს.

პასარელასა და ჰოდლის გუნდები კი წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ და ჩემპიონატის ყველაზე ხმაურიან, სასიკვდილო მერვედფინალსაც გაითამაშებენ, მაგრამ, როგორც ვთქვათ, ეს არც პირველია და ალბათ, არც უკანასკნელი.

პირველი, 1962 წელს იყო ჩილეში. და, ალბათ, ის იყო ისტორიაში თავისი კვალით ყველაზე მკრთალი. ინგლისმა 3:1 მოიგო ჯგუფში და არგენტინას მეოთხედფინალი არ ანახა. ეს იყო და ეს.

ამის შემდეგ კი მოდის ორი მეოთხედფინალური მატჩი, რომლებსაც ერთმანეთისგან 20 წელიწადი აშორებს.

ორივე ეს შეხვედრა სკანდალური იყო. ორივეს ექო დღემდე სწვდება მსოფლიო ჩემპიონატებს.

1966 წლის 23 ივლისი, გაჭედილი „უემბლი". კაპიტნები ბობი მური და ანტონიო რატინი გუნდებს გამოუძღვნენ. ჰაერში იმთავითვე ტრიალებდა დენთის სუნი. თქმა არ უნდა, ინგლისის ნაკრები ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. ალფ რამსეის ჰყავდა საუცხოოდ შეთამაშებული, იმ დროის ინგლისური სამწვრთნელო აზრისთვის საკმაოდ ორიგინალურად აწყობილი გუნდი, რომელსაც მშვენივრად ეხერხებოდა კუნძულის ფეხბურთის საუკეთესო თვისებების წარმოჩენა. არგენტინის ნაკრების თავკაცი იყო ხუან კარლოს ლორენსო. არგენტინელებს ჰყავდათ ზღაპრული ანსამბლი, რომელსაც ლიდერობდნენ „რევერ პლეიტის" ჯადოქარი ერმინდო ონეგა და „ინდეპენდიენტეს" უდახვეწილესი შემტევი ლუის არტიმე. ეს გუნდი საოცარი საცქერი იყო შეტევაში, მაგრამ რახან გუნდში „ბოკას" სამეულიც (ალბერტო გონსალესი — სილვიო მარზოლინი — რატინი) ჩანდა, ამ გუნდის თამაშს ერთგვარი საფეხბურთო ანტიმორალიც სდევდა თან. ეს ძველი არგენტინული ისტორიაა — ორი სამწვრთნელო სკოლა, ორი საფეხბურთო აღქმა, ჩვენს დროში რომ ლუის მენოტისა და კარლოს ბილარდოს სახეებით გამოიხატება ერთგვარად შერბილებული ფეხბურთით.

სანამ ფეხბურთი არსებობს, ამ შეხვედრის გამო ლაპარაკი არ შეწყდება. არგენტინელები ყოველთვის იტყვიან, რომ ინგლისელები უხეშად ეთამაშებოდნენ. ინგლისელები ასევე ჯიუტად გაიმეორებენ, რომ არგენტინელები არაჯენტლმენურად ირჯებოდნენ მინდორზე. ჟურნალისტები კი ყოველთვის ნაცად აზრს მოგვაწვდიან: ფიფას პრეზიდენტი ინგლისელი სტენლი როუზი იყო. მან კარგად იცოდა საიდან ელოდა საფრთხე ინგლისელთა გუნდს. ჯგუფში ინგლისმა ურუგვაის ვერ აჯობა და არგენტინასთან ფეხი არ უნდა დასცდენოდა. არგენტინა ძლიერი გუნდი იყო. სწორედ ამიტომ, სამხრეთამერიკული გუნდების ჩაძირვა გადაწყდა. ინგლის-არგენტინის მატჩზე გერმანელი კრაიტლაინი დაინიშნა მსაჯად, გერმანია — ურუგვაის შეხვედრაზე კი ინგლისელი ფინი. ამ მსაჯებმა ძალიან მოინდომეს, სამხრეთ ამერიკელები დაჩაგრეს, ხალხი გაუძევეს და ინგლისელთა საწადელიც აასრულესო.

ეს, რა თქმა უნდა, გავრცელებული აზრია. მაგრამ ჟურნალისტიკას თუ გამოვცდებით, საქმე არცთუ მხოლოდ სტენლი როუზის ქეიფზე წარმოგვიდგება. არსებობს ამ მატჩის ამსახველი კასეტა მთელი თავისი ამბებით. არგენტინელები საუცხოონი არიან, როცა ბურთი აქვთ და ამორალურნი, როცა უბურთოდ თამაშობენ. ასეთი იყო მათი თამაშის სტილი. ასეთი იყო მიმართულება, რომელიც შემდგომში აბსოლუტში აიყვანა არგენტინული „ესტუდიანტესის" თავკაცმა ოსვალდო სუბელდიამ, რომელსაც მსგავსი სათამაშო პრინციპით სამჯერ ზედიზედ მოიგო ლიბერტადორესის თასი და ერთხელ საკონტინენტთაშორისო. ინგლისელები თამაშობდნენ ისე, როგორც ყოველთვის, ძალისმიერად და ჯაჯგურით. ნობი სტაილზი კი ჩვეულ სარმებსაც არ ერიდებოდა.

ორი საფეხბურთო სკოლის ომი დრამად იქცა. არგენტინელები საოცრად მტკივნეულად ალიქვამდნენ ინგლისურ ორთაბრძოლებს, კოტრიალობდნენ და თავად არ ერიდებოდნენ უხეშობას, მაისურში ჩავლებას, კვანტს, ხელის დაჭერას. მაშინდელ ფეხბურთში უხეშობა საოცრად მკვეთრი რამ იყო. შეტევაში ორივე გუნდი ძალიან შთამბეჭდავი ჩანდა. რატინი კი გამუდმებით ეკამათებოდა მსაჯს. ერთ ეპიზოდში მას მოედნის გარეთ გასვლა ებრძანა. მსაჯს უკვე გაფრთხილებული ჰყავდა. რატინის გაყვანას 8 წუთი და პოლიცია დასჭირდა. არგენტინას ფარხმალი არ დაუყრია. ონეგა საუცხოო იერიშებს აწყობდა. შეხვედრის მიწურულს ჯეფრი ჰერსტმა გაიტანა ამ მატჩის ერთადერთი გოლი. დავიდარაბა თამაშის შემდეგაც გაგრძელდა. ლორენსომ მსაჯი გამოლანძღა, რამსეიმ - არგენტინელები.

ასეთი ხმაურიანი გამოვიდა ამ გუნდებს შორის გამართული პირველი მეოთხედფინალური შეყრა. ფეხბურთელებს არაფერი ჰქონდათ სამტრო, ისინი ისე იქცეოდნენ, როგორც უბრძანეს. თამაშის შემდეგ მაისურების გაცვლაც კი გადაწყვიტეს, მაგრამ ალფ რამსეიმ ეს საქმე ჯაჯგურით ჩაშალა, პირუტყვებს მაისურებს არ ვუცვლითო. აი, ასეთი ამბავი. და ვინ იყო მართალი?

თავის მხრივ, ორივე მხარე მართალი იყო. მაშინდელი გუნდები იმგვარად არ იცნობდნენ ერთმანეთს, რომ ამ ყაიდის, ძალიან ნერვულ თამაშში თავი დაეჭირათ. თავის მხრივ, ორივე მტყუანი იყო — თამაში იმისია, რომ უნდა გაძლო. თუმცა, პროვოცირების საშუალებაც დიდი იყო და აკი მოხდა კიდეც.



დღეს შირერმა უნდა იშირეროს

და საერთოდ, ეს ქვეყნები — ინგლისი და არგენტინა — ერთმანეთის მეგობრებად არ ჩაითვლებიან. სწორედ ფოლკლენდის (არგენტინისთვის მალვინის) კუნძულებისთვის ომი უსწრებდა წინ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. ამ ომში ინგლისელებმა იმარჯვეს, ამ ორ ქვეყანას შორის გადებული ვიწრო სამშვიდობო ხიდზე კი „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ზღაპრული არგენტინელი ოსვალდო (ინგლისელთათვის ოზი) არდილესი გადი-გამოდიოდა. ამ ომამდე „ტოტენჰემშივე" თამაშობდა არგენტინელი რიკარდო (რიკი) ვილაც, რომელიც 1978 წლის ჩემპიონთა გუნდში ირიცხებოდა.

არც რიკი ვილა და არც ოზი არდილიერო აღარ იყვნენ არგენტინის იმ ნაკრებში, სუბელდიას მოწაფემ, კარლოს ბილარდომ რომ ჩაიყვანა მექსიკაში 1986 წელს. სწორედ აქ შედგა კიდევ ერთი ინგლისურ-არგენტინული მეოთხედფინალი, რომელიც „აცტეკაზე" გაიმართა. არგენტინელთა შორის იყო დიეგო მარადონა. ეს მისი ჩემპიონატი იყო. მაგრამ სკანდალის გარეშე არც ამჯერად გამოვიდა. მარადონამ ოთხი წუთის ინტერვალით გაიტანა ორი გოლი. პირველი ხელით და მეორე ფეხით. პირველი იყო სამარცხვინო, მეორე — ზღაპრული. იმ პირველს, მარადონამ „ღმერთის ხელით" შეგდებული უწოდა. მეორეს, იმ დროის ვარსკვლავმა ხორხე ვალდანომ, სავსებით სამართლიანად, „ღმერთის ფეხით" გატანილი. მარადონას ხელი ბევრმა ვერავინ შეამჩნია. მათ შორის, ვერც ტუნისელმა მსაჯმა. ფეხი კი მთელმა მსოფლიომ გაალმერთა. ასეც იყო — მარადონამ თავის ნახევარზე, ცენტრთან მიიღო ბურთი და შილტონის კარამდე ნახევარი ინგლისის გუნდი მოატყუა. ინგლისელებმა ერთადერთი რამ თქვეს, არც ერთმა ჩვენგანმა ფეხი არ დაუდო, თუმცა ამის მოხერხება შეგვეძლო ორ მომენტში მაინც და მაშინ ეს განუმეორებელი გოლი არ იქნებოდაო. ასე იყო თუ ისე, არგენტინელები ჯობნენ ინგლისელებს და გარი ლინეკერის ერთადერთმა გვიანმა საპასუხომ ვერაფერი შეცვალა. იმ წელს არგენტინის ნაკრები ჩემპიონი გახდა. „ღმერთის ხელი" და „ღმერთის ფეხი" კი დღემდე სალაპარაკოდ და სადავოდაა დარჩენილი.

სახალხო ენაზე ასე გამოდის, 1966 წელს არგენტინელები დაიჩაგრნენ, 1986 წელს ინგლისელები.

თუმცა, ეს ძალიან მარტივი ნათქვამია და ამ გუნდების დაჯახების ისტორიას ოდნავადაც ვერ ასახავს.

და დღეს? რა მოხდება დღეს?

სადღეისოდაც გვარიანი ამბავია გახურებული. ლონდონში, ჰოსპიტალში წევს 78 წლის ალფ რამსეი. მასთან ლაპარაკი მედიას აგრეც არ გამოუვიდა. სამაგიეროდ, 32 წლის წინათ, არგენტინელთა კარში გოლის გამტანმა ჯეფრი ჰერსტმა თქვა, ინგლისისა მჯერაო. არგენტინელთა მეგოლეემ გაბრიელ ბატისტუტამ კი აღნიშნა, თქმა არ უნდა, ეს მატჩი „ღმერთის ხელის" დროინდელ ამბებს გვახსენებსო.

ბანაკებიდან კი ასეთი სიტყვები მოისმის:

გლენ ჰოდლი: „ჩვენ თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომ ცუდად ვითამაშოთ და არგენტინას ვერ მოვუგოთ. ბიჭებს ერთი სული აქვთ, მოედანზე გავიდნენ. ჩვენ პატივს ვცემთ მათ, მაგრამ ეს შიში არ არის. ახლა ისეთ ხასიათზე და ფორმაში ვართ, რომ არავისი გვეშინია".

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატების გარდა ინგლისი კიდევ 7-ჯერ შეხვედრია არგენტინას და ამ 10 მატჩიდან მხოლოდ ორჯერ წაუგია.

მაგრამ ახლანდელ არგენტინელებს ზედიზედ რვა თამაშში არ გაუშვიათ გოლი, არც ამხანაგურებში და არც მსოფლიო ჩემპიონატზე. მათი გამთამაშებელი, ენერგიული და შთამბეჭდავი ხუან სებასტიან ვერონი ამბობს: „არა მგონია, ინგლისელებს ჩვენზე ძლიერი დაცვა ჰყავდეთ. ისინი ჰაერში გვჯობნიან, ჩვენ მიწაზე. ასე რომ, უნდა გავიმარჯვოთ".

არგენტინელებს კვლავაც არ ეყოლებათ ვეტერანი მცველი ნესტორ სენსინი, ინგლისელთაგან კი შერინგემის ნაცვლად კვლავ მაიკლ ოუენი ითამაშებს...

დღეს, სენტ ეტიენში მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე დრამატული მერვედფინალი გაიმართება.

ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება, მით უმეტეს, რომ უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ, რას ნიშნავს ინგლისურ-არგენტინული ომი.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, ადამსი, კემპბელი, ანდერტონი, ბექჰემი, ინსი, სქოულზი, ლე სო, ოუენი, შირერი

არგენტინა: როა, ვივასი, აიალა, შამოტი, მანეტი, ალმეიდა, ვერონი, ორტეგა, სიმეონე, ბატისტუტა, ლოპესი

ირაკლი გამყრელიძე



1986 წელი. წამიც და მარადონა იმ ზღაპრულ გოლს გაიტანს, ვალდანომ რომ „ღმერთის ფეხი" უწოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მატჩი №55. რუმინეთი — ხორვატია. ბორდო. 18³⁰

ერთი თაობის ორი ვეშაპი, ნახევარდაცვის ორი გენერალი, 32 წლის რუმინელი გეორგ ჰაჯი და 30 წლის ხორვატი ზვონიმირ ბობანი. ოთხმოცდაათიანმა წლებმა მათი სახელების ბრუნებაში ჩაიარა. ბობანი დიდ „მილანში" თამაშობდა (დღესაც იქაა), ჰაჯი „რეალსა" და „ბარსელონაში".

დღეს 90-იანი წლების ბოლოა და განგებამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათი დაპირისპირება ისურვა. ამ საღამოს, თბილისის დროით 18 საათსა და 30 წუთზე ბორდოში ჰაჯისა და ბობანის გუნდები ერთმანეთის წინაშე წარსდგებიან. თამაშის შემდეგ ერთ-ერთს აბარგება მოუწევს, წაგებული ვარდება, გამარჯვებული — მეოთხედფინალში გადის.

ბობანიცა და ჰაჯიც იმ ასაკის ხალხია, რომელთათვისაც საფრანგეთი 98 ალბათ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატია. ოთხი წლის მერე, როდესაც მორიგი საფეხბურთო ვულკანი იაპონიასა და კორეაში ამოხეთქავს, ჰაჯი 36 წლისა იქნება, ბობანი 34-ის.

„თუ მეოთხედფინალში გავედით, მერე ველარავინ დაგვამარცხებს, ნახევარფინალშიც გავალთ და ნებისმიერ ამბიციასაც დავიკმაყოფილებთ" — თქვა ბლაჟევიჩმა, რომლის ინფორმაციითაც მცველი გორან ვლაოვიჩი სულაც არაა ისე დაშავებული, რომ დღევანდელ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღოს.

საინტერესო ფაქტი: ბლაჟევიჩის განცხადებით ხორვატიის ნაკრები პენალტებში არ ვარჯიშობს.

„არ გვინდა ვაჩვენოთ მეტოქეს, კარის რომელ კუთხეში ვაპირებთ დარტყმას. ჩვენს გუნდს პენალტების დარტყმაში ისედაც ვერავინ სჯობია, მეკარეს კი სხვებზე კარგად ეხერხება თერთმეტმეტრიანების მოგერიება" — ამბობს ბლაჟევიჩი.

ამასობაში, რუმინელთა ბანაკში ყველაზე დასაქმებული ხალხი ექიმები არიან. ისინი მცველს დან პეტრესკუს და ნახსენებ თავდამსხმელს ადრიან ილიეს დაჰფოფინებენ. ამ წყვილს თურმე

# მოლდოვანმა თავი ვედროში ჩაჰყო, ბლაჟევიჩი კი მსოფლიოს ჩემპიონია

მცირე ტრავმები აწუხებს, თუმცა ანგელ იორდანესკუ იმედიანად არის, პეტრესკუს ძველი იარა ასტიკვებია ოდნავ, ილიეს კი კუნთის პრობლემა ჰქონია.

„სერიოზული არაფერია" — უთხრა ჟურნალისტებს იორდანესკუმ ბორდოს „სტად ლესკურზე" ვარჯიშის შემდეგ.

მაგრამ ხვალემ იკითხოს ხვალისა. დღეს კი ევროპის ორი ცნობილი 10 ნომერი ცხრა პირ ოფლს მოიდენს, რათა კიდევ გაიგრძელოს საფრანგეთში ყოფნის სიამოვნება და შემდგომ ეტაპზე ახალ მეტოქეს დაეჭიდოს.

ჰაჯიცა და ბობანიც ბურთის დაჭერისა და სწრაფი კონტრშეტევის წამოწყების ოსტატები გახლავან.

„შანსი? ჩემი აზრით ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. ამ შეხვედრაში ფავორიტი არ არსებობს. ხორვატები და ჩვენ თითქმის ერთნაირ ფეხბურთს ვთამაშობთ" — ასეთი აზრისაა რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ.

ხორვატთა თავკაცს, მიროსლავ ბლაჟევიჩს დაცვის შეცვლა მოუწევს. მიზეზი: არგენტინასთან თამაშის დროს გუნდის ლიბერომ ზვონიმირ სოლდომ ყვითელი ბარათი მიიღო, რომელიც ამ ჩემპიონატში მისთვის მეორე აღმოჩნდა.

„სოლდო ჩვენს გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. მისი არყოფნა დიდ სირთულეს გაგვიჩენს" — ამბობს დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის მეწყვილე — მცველი სლავენ ბილიჩი.

სირთულე? დიახ სირთულეს, მაგრამ რის სირთულე, ხორვატთა ბანაკში არის ერთი კაცი, რბილად რომ ვთქვათ ოპტიმისტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ელის, და ეს ადამიანი არც მეტი, არც ნაკლები, გუნდის მთავარი ფიგურა, ბლაჟევიჩი გახლავთ.

„მწამს, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონები გავხდეთ, თუმცა საამისოდ რუმინეთს უნდა ვაჯობოთ" — განაცხადა ბლაჟევიჩმა — „მაგრამ რუმინელთა დასამარცხებლად საგანგებო თამაში გვჭირდება".

შეგახსენებთ, რომ ხორვატთა გუნდი პირველად მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატში. აქამდე მას ამის საშუალება არ ჰქონდა, რადგან 1991 წლამდე ხორვატია ცალკე ქვეყნად არც არსებობდა, იუგოსლავიის ნაწილი იყო, ხოლო შემდგომ წლებში კი ყოფილ დომინიონთან ომობდა.

საფრანგეთის სტადიონებზე ხორვატებმა ჯგუფურ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავეს. მათ მხოლოდ არგენტინასთან წააგეს.

„არგენტინასთან ჩემს გუნდს თავისი ნამდვილი სახე არ უჩვენებია. ვიცი, რომ იმ დღეს არ გაგვიმართლა თორემ გაცილებით მეტის უნარი შეგვწევს და სწორედ ეს მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს". — ბრძანებს ბლაჟევიჩი, მაგრამ რუმინეთზე საუბრისას მაინც ფრთხილობს:

„შესარჩევ ეტაპზე რუმინელებმა ეფექტურად გაიმარჯვეს, ერთ შეხვედრაშიც არ დამარცხებულან. ისინი დიდ პატივისცემას იმსახურებენ. პირადად მე, მათთან თამაშის მეშინია, მაგრამ ნება მომეცით განვაცხადო, რომ შიში კაცს უკეთესი თამაშისკენ გიბიძგებს. შიშზე მეტად ადამიანს ვერაფერი გამოგაფხიზლებს".

ბლაჟევიჩმა საგანგებოდ გამოჰყო ორი რუმინელი თავდამსხმელი, ადრიან ილიე და ვიორელ მოლდოვანი.



მიროსლავ ბლაჟევიჩი

და ბოლოს ორი სახალისო ამბავი. ალბათ ყვითლად თმაშეღებილი რუმინეთის ნაკრებისა და ტუნისის თამაშის დროს ყველა შეამჩნევდით, რომ იორდანესკუს საეჭვოდ ჰქონდა თავზე კეპი ჩამოფხატული. თურმე ნუ იტყვით და რუმინეთის არმიის გენერალი საკუთარ ფეხბურთელებს გადაუხოტრავთ, რადგან, რაღაც ნიძლავი წაუგია.

და კიდევ, მავანი რუმინელი გულშემატკივარი, ვინმე 44 წლის იოან მოლდოვანი ყოველდღიურად ოთხი საათით თავს წყალში ჰყოფს და ლოცულობს, რათა მისი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ჩემპიონატზე წარმატებით ითამაშოს. ეს ამბავი ამ ბუქარესტელი კაცის ცოლმა მოუთხრო გაზეთ „ევენიმენტულ ზილეის" კორესპონდენტს. არადა ჩვენი იოანი თავის წყალში ჩაყოფამდე ერთობ სანიმუშო მეოჯახე და მუშა კაცი ბრძანებულა, ახლა კი აუჩემებია რუმინეთის ერთადერთი ადამიანი — ამფიბია ვარო. ქმრის ახირებით შეშფოთებული მეუღლე, სახელად ადრიანა, სანტექნიკოსებს მათ ბინაში წყლის გადაკეტვას ემუდარება.

„მეზიზღება ფეხბურთი, დამიბრუნეთ ისეთი ქმარი, ორი კვირის წინ რომ მყავდა" — გადარევასაა ქალი.

ახლა, ამ წუთებში, თქვენ რომ გაზეთს კითხულობთ, მოლდოვანს თავი ვედროში აქვს ჩაყოფილი.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**რუმინეთი:** სტელეა, პეტრესკუ, დობოში, დულჩა, ჩობოტარიუ, დუმიტრესკუ, გალკა, მუნტეანუ, ჰაჯი, ილიე, მოლდოვანი

**ხორვატია:** ლადიჩი, ბილიჩი, იურიჩი, იარნი, მარიჩი, ბობანი, ასანოვიჩი, სიმიჩი, პროსინეჩკი, სტანიჩი, შუკერი

ბაპუნა ძიძია

# ჩრდილოეთის ექსპრესი

დასაწყისი პირველ გვერდზე

თავაზიანი მოხალისე ავტობუსამდე მიგაცილებს, ათიოდ წუთი და შენ უკვე საუნივერსიტეტო ქალაქთან ხარ, აქაც ვოლონტიორს ჩააბარებენ შენს თავს, ეს კი მეტროს ბაქანზე გაგიყვანს და აგიხსნის, რომელ გაჩერებზე უნდა ჩამოხვიდე, თან ლამაზი ფეხბურთის ხილვასა და პარიზში კარგი დროის გატარებას გისურვებს. შენც ოც წუთში სასურველ გაჩერებაზე ხარ. აქაც პოლიციელებისა და უნიფორმიანი მოხალისეების არმია, ყველა სამსახურს გთავაზობს. არ გჭირდება, სტადიონიც თვალწინაა და ადრიან გულშემატკივართა ნაკადი თავად მიგიყვანს მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ კარიბჭესთან.

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესაბამისად აღჭურვილი „სტად დე ფრანსის" პრესცენტრის ბინადარნი ხამაგაკმენდილნი მისჩერებოდნენ ეკრანს — ის იყო დამატებითი ტაიმის დაწყების ნიშანი მისცა მსაჯმა. როგორია — თავისი უცერემონიობითა და ქცევის თავისუფალი მანერით ცნობილი ამდენი ჟურნალისტის გაყუჩება? დარწმუნებული ვარ, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ამ ეტაპზე საფრანგეთის წაგება არ გაეხარდებოდა. არადა, ბევრი ჩემი კოლეგა შიშობდა, რომ თუ საქმე პენალტებამდე მივიდოდა, ფრანგების საქმე ცუდად შეიძლებოდა წასულიყო. პარაგვაელთა მეკარის ბრწყინვალე თამაშსა და მასპინძლების ფსიქოლოგიურ შოკს ანგარიში უნდა გასწეოდა.

„ლორან ბლანის 114-ე წუთზე გატანილმა გოლმა ფრანგები სირცხვილს გადაარჩინა" — წერს „ფიგარო". ფრანგული პრესა მწვავედ აკრიტიკებს გუნდის თამაშს, პირველ რიგში ემე ჟაკეს, რომელიც ბევრს ისედაც არ უყვარს. „ეკიპი", რომელიც ყველაზე ვრცლად და მაღალ პროფესიულ დონეზე აშუქებს ჩემპიონატის მსვლელობას, რამდენიმე გვერდს უძღვნის საფრანგეთ-პარაგვაის და კიდევ უფრო მეტს იტალიელებთან მომავალ მატჩს. გაზეთის მთელი პირველი გვერდი უკავია გატანილი გოლის ამსახველ ფოტოს უზარმაზარი სათაურით: „გადავრჩით". იშვიათია, როცა დამარცხებული გუნდი, რომელიც ჩემპიონატს გამოეთიშა, უფრო მეტ ქებას იმსახურებდეს, ვიდრე გამარჯვებული. იგივე „ეკიპმა" ფრანგების თამაში საერთო ჯამში შეაფასა 5,68 ბალით, პარაგვაელებისა კი 5,72-ით, ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს ტურანმა და დესაიმ (7-7) ფრანგებიდან, სამხრეთამერიკელებიდან კი მეკარე ჩილავერტმა და გამარამ. და კიდევ ერთმა მომენტმა მიიქცია ჩემი ყურადღება — იური ჯორკაეფის ყოჩაღი ჯარისკაცი შევეიკივით ძალზე თამამმა განცხადებამ: და მაინც ეს თასი ჩვენი იქნება! ისე კი, მას ამ მატჩში თავი არაფრით გამოუჩენია.

ერთ-ერთ რეპორტაჟში შევეცადე მომეთხრო სენ დენსა და „სტად დე ფრანსზე". მაგრამ ეს უნდა ნახოთ და თავად შეიგრძნოთ ამ გიგანტის მშვენიერება და სილამაზე. დატკბეთ მისი ცქერით. ეს უზარმაზარი 100-ათასიანი კომპლექსი ისეთი მსუბუქი და ჰაეროვანი გეჩვენება, ასე გგონია, აი, ახლა ჰაერში აიჭრება და გაფრინდებაო. გარედან მფრინავი თეფშის, შიგნიდან კი კოსმოსური ხომალდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია — ამ უზარმაზარ კომპლექსზე არაა გაფორმების არავითარი ელემენტი, არავითარი რეკლამა (გარდა სათამაშო მინდვრის სამ მხარეს ჩამწკრივებული სარეკლამო დაფებისა), მხოლოდ მონაწილე ქვეყნებისა და ფიფას დროშები. მორჩა და გათავდა. საოცარი ტექნიკური აღჭურვილობა და ამოუწურავი შესაძლებლობებისაა სტადიონზე დამონტაჟებული ორივე საინფორმაციო ტაბლო.

და კიდევ ერთზე: მოგეხსენებათ, ფრანგებსა და ინგლისელებს ერთმანეთთან ქიშპობა ოდითგანვე მოსდევთ. სპორტშიც, რა თქმა უნდა. ფრანგებს დღემდე აქვთ სატრაბახოდ, რომ ფიფა პარიზში დაფუძნდა, თუმცა ფეხბურთის სამშობლოდ ინგლისი ითვლება. სხვათა შორის, დამფუძნებელთა შორის ინგლისელები არც კი იყვნენ. ფრანგებმა ისიც კი მოახერხეს — მიშელ პლატინის დახმარებით, ცხადია — რომ მეორეჯერ მასპინძლობენ ფინალურ მატჩებს. ადრე ასეთი პატივი მხოლოდ იტალიას ერგო. ჰოდა, რატომღაც საფრანგეთის ჩემპიონატის ორგკომიტეტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა, შეჰკითხვოდა ინგლისელებს, რომლებმაც ამ ორიდე წლის წინ ჩაატარეს ევროპული ფინალი (არც თუ ისე ცუდად) — როდის შეიძლება საფრანგეთი-98-ისთვის მზადება დამთავრებულად ჩავთვალოთო. ნისლიანი ალბიონის მკვიდრებმა ნამდვილი ინგლისური იუმორითა და ირონიაშეპარვით უპასუხეს — შეგიძლიათ, თქვენი მისია მაშინ ჩათვალოთ ამოწურულად, როცა ყველა სტადიონზე ტუალეტი ისეთივე მდგომარეობაში იქნება, როგორიც პარიზის სასტუმროების ქსელ „მერკურშიაო". ჰოდა, ხომ უნდა შემემოწმებინა, როგორ შეასრულეს ბრიტანელთა დანაბარები ფრანგებმა?

„სტად დე ფრანსზე" ამ მხრივ არ შეიძლება პრეტენზიები იყოს.

...სათამაშო მინდორზე კი მატჩის ბედი პირველ ათ წუთში გადაწყდა და საბოლოოდ ნიგერიელთა განადგურებით დამთავრდა. დანიამ აფრიკელები აზიელების გზას გაუყენა.

აშკარად ჩანდა, თავიდანვე მაყურებელთა უმრავლესობის სიმპათია ნიგერიელთა მხარეს იყო. მართლაც რომ ლამაზია მათი შესრულებით ფეხბურთი და ყველას ახსოვდა, როგორი საფეხბურთო დღესასწაული მოუწყეს მათ და ესპანელებმა ამ ათიოდე დღის წინ მილიონობით ტელემაყურებელს და უშუალოდ მატჩზე დამსწრე ათასობით გულშემატკივარს. ნიგერიელებს ამ მატჩში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ.

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ აფრიკელი სპორტსმენები ზედმეტად თავდაჯერებულნი და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულნი გამოვიდნენ მინდორზე. ეს მოთელვასაც კი ეტყობოდა. შემდეგ იყო და მე-11 ნომერმა გარბა ლავალიმ მე-3 წუთზე ასპროცენტიანი გასატანი ბურთი ვერ შეაგდო. მკაცრმა ფორტუნამ ეს არ აპატია და ზუსტად რამდენიმე წამში, იმავე მე-3 წუთზე უბერებელი მიქაელ ლაუდრუპის პასით პეტერ მიოლერი ხსნის ანგარიშს. ნიგერიელები არ ეპუებიან სიტუაციას, საშიშროებას ვერ გრძნობენ — კვლავ წინ და სულ წინ, თითქოს სხეულს უკანა მხარე არ ჰქონდეს და ის შენი არ იყოს. ათი წუთიც და მეორედ შეფრთხიალდა ნიგერიელთა კარის ბადე, რომელსაც უსუსურად იცავდა ნაკრებში კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნებული პეტერ რუფაი. ამ მომენტში ვიგრძენი, რომ შედრკნენ აფრიკელები — ასეთ დასაწყისს ისინი ხომ საერთოდ ვერ წარმოიდგენდნენ.

მაგრამ არ იმჩნევენ შინაგან მდგომარობას და შეტევები გრძელდება. იქმნება პატარ-პატარა საფეხბურთო იმპროვიზაციები, ფეხბურთის ამოუწურავი შესაძლებლობების დემონსტრაციები, თითქოს პრინციპული მატჩი კი არა, საჩვენებელი გამოსვლა იყოს. ეს მათ, განსაკუთრებით აუგუსტინ ოკოჩას კარგად გამოსდიოდათ. პირველ ტაიმის მეორე ნახევრიდან შეტევები კიდევ უფრო მძაფრდება. დანიელები შედრკნენ, ერთი სული აქვთ, ოღონდაც ტაიმი ჩაამთავრონ, ბურთს ხშირად მეკარეს აწვდიან, ტრიბუნებისკენ უშვებენ ან, თუ მოახერხეს, თავიანთ ნახევარზე ათამაშებენ. ოღონდაც ტემპი დააგდონ, ოღონდაც დრო გაიყვანონ. ისინი მოქმედებდნენ პრინციპით — მიზანი ამართლებს საშუალებას და... იმსახურებენ მაყურებელთა რისხვას — სტვენა, უკმაყოფილების გამომხატველი შეძახილები.

დანიელები კი თავისას არ იშლიდნენ. თერთმეტივე კაცი თავდაუზოგავად, ფუტკარივით შრომობდა. საიდან აქვთ მაინც ასეთი ფიზიკური გამძლეობა! არის თუ არა საჭირო, ყველა მოძრაობაშია, ყველა იხსნებოდა, ყველა მაქსიმალურად მობილიზებული იყო და მზად იყვნენ ნებისმიერ წამს, მოედნის ნებისმიერ წერტილში ბურთისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. დანიელების შესრულებით ფეხბურთი უფრო ტექნიკურია, ვიდრე ნიგერიელებისა. ისინი ტაქტიკურადაც სწორად თამაშობდნენ და რაც მთავარია — კარგად ფლობდნენ შეცდომის არპატიების ხელოვნებას.

აშკარა გახდა, რომ თუ პირველ ტაიმში ნიგერიელები ანგარიშს ვერ შეცვლიდნენ, მეორე ტაიმში მატჩის ხსნა შეუძლებელი იქნებოდა.

მესამე გოლის შემდეგ მეორე ტაიმი დანიელთა ბენეფისის, მათი ზეობისა იყო. ისინი გატეხილ და დათრგუნულ ნიგერიელებს უკეთებდნენ ყველაფერს რაც კი მოეხასიათებოდათ. ორჯერ მეტის გატანის რეალური შანსიც ჰქონდათ, უმცროსი ლაუდრუპის წაქცევისთვის მსაჯმა აშკარა პენალტიც არ დანიშნა. მოკლედ, გამოცდილმა ბორა მილუტინოვიჩმაც კი ვერ შეძლო დაშლილ-დანგრეული გუნდი დაელაგებინა. ჩემი აზრით, შეცვლები გვიან გააკეთა, ჩვენთვის ასე კარგად ნაცნობი ბაბანგიდას შეყვანაც უკვე ველარაფერს უშველიდა — ერთი კია, პრესტიჟის გოლი მაინც შეაგდო.

ამ მატჩის შემდეგ იღბლიანად შერაცხული მოხეტიალე მწვრთნელის ბორა მილუტინოვიჩის უიღბლო კარიერა ნიგერიაში შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ბორას რუსები ნატრულობენ — სხვა ბევრ ენასთან ერთად რუსულიც იცისო. აჰა, ბატონო, თავისუფალია მილუტინოვიჩი და სასწრაფოდ მიმართეთ, ვინძლო, სხვამ არ დაითრიოს. მიხაილ გერშკოვიჩს შეიძლება მართლა აჯობოს. ბოლო-ბოლო, იღბლიანია.

ისე კი, ზედ ფინალის წინ ნიგერიელთა სერიოზული მარცხი ამხანაგურ მატჩებში ჰოლანდიელებთან და იუგოსლავიელებთან, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ იყო და არც მოწინააღმდეგის ყურადღების მოსადუნებლად გამიზნული. ერთადერთი, ვინც გამოირჩეოდა ნიგერიელთა შორის და რომელსაც ფარ-ხმალი ბოლომდე არ დაუყრია, ეს ჯეი ჯეი ავგუსტინ ოკოჩა იყო. მაგრამ მას ვინ მისცა საშუალება, ჯეჯილობის სიხარული ეგრძნო.

დანიელები კარგად აწყობილ და გამართულ მანქანას ჰგავდნენ, ისეთ ორკესტრს, რომლის დირიჟორმაც კარგად იცოდა თავისი საქმე და მუსიკოსებიც თავიანთ პარტიას ჩინებულად ასრულებდნენ. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს ალან ნილსენმა, თომას ჰელვეგმა, ბრაიან ლაუდრუპმა. რაც შეეხება უფროს ლაუდრუპს, მას „ეკიპმა" ყველაზე მაღალი — 7,5 ბალი დაუწერა მისი მონაწილეობისთვის ორი გოლის გატანაში. ერთი შეხედვით, ის მოედანზე თითქოს არ ჩანდა, არც ისე აქტიურობდა, უფრო სწორად, ბევრს არ დარბოდასავით. მაგრამ თამაში მას მიჰყავდა, ყველა ბურთი მასთან მიდიოდა, ის პოულობდა შეტევის გაგრძელების ვარიანტებიდან საუკეთესოს, ზედმეტი ეფექტურობის გარეშე შრომობდა თავისთვის. გახსოვთ ბოლო წლებში ლევ იაშინის თამაში? ის თითქოს იდგა და ყველა ბურთი მაგნიტივით მასთან მიდიოდა, კი არ იჭერდა, კი არ ხტებოდა — ბურთი მას პოულობდა, ასევე ლაუდრუპი — ბურთი მას პოულობდა. ხოლო ბურთს როგორ ელაპარაკოს, ამ 34 წლის ოსტატმა ნამდვილად იცის.

მოკლედ, დანიელებმა თავიანთი საქმე გააკეთეს — გუნდმა, რომლის საშუალო ასაკი საუკეთესოა — 29 წელი, ხოლო სიმაღლე შესაშური — 183 სმ — მეოთხედფინალში გასვლით პროგრამა-მინიმუმი შეასრულა.

ვტოვებთ სტადიონს სენ დენში და ნიგერიელების საცოდაობასთან ერთად განვიცდიდი იმ 120 თუ 150 კაცის ბედს, რომლებიც ორივე ტაიმის მანძილზე მოედნის სარბენ ბილიკზე ისხდნენ სკამებზე პირით ტრიბუნებისკენ და 90 წუთის მანძილზე ერთხელაც არ მიუხედავთ უკან, თვალი არ შეუვლიათ, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა მოედანზე.

უცებ გავიფიქრე, ამ ორი ჩრდილოელი გუნდიდან — დანია, ნორვეგია — ჯგუფში მოხვედრას საქართველოს ნაკრებს რომელთან უსურვებდი-მეთქი. ცხადია, ნორვეგიასთან. უფრო მარტივი და იოლად გასაშიფრი გუნდია. შედარებით იოლად მხოლოდ.

და ბოლოს, ამ რეპორტაჟის სათაური მე არ მეკუთვნის. ის „თაიმსიდანაა" აღებულ-ნასესხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატის დღიური

28 ივნისი

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

# დიდი ხალხი

### ზიზუ, რომელიც არ იყო

თურმე რამდენს ნიშნავს ერთი კაცი. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი და ამავდროულად ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი საფრანგეთი პარაგვაის ეთამაშებოდა, მაგრამ ბოლო წამამდე ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. ემე ჟაკეს გუნდი წლობით ემზადებოდა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, მაგრამ რად გინდა? დააკლდა გუნდს ერთი მოთამაშე და ნაკრებიც აირდაირია. პარაგვაი ჩინებულად ირჯებოდა, თუმცა ბოლოს ერთი შეცდომა დაუშვა და გამოემშვიდობა კიდეც ჩემპიონატს. რომ არა მცველთა უყურადღებობა, ეგებ ფრანგები მერვედფინალშივე დამშვიდობებოდნენ გათამაშებას, თუმცა ბედმა მათ გაუღიმა. მასპინძლებმა მეოთხედფინალში გააღწიეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.




ერთადერთი დიდი კაცი ფრანგთა შორის — ზიდანის არყოფნა ნაკრებს აშკარად დაეტყო

სარბიელის არქივიდან

ვინ აკლდათ ფრანგებს? — ფეხბურთელი, რომლის მინდორზე ყოფნაც უსახურ ფრანგთა ნაკრებს უმალ გარდაქმნიდა ლამაზი ფეხბურთის მქადაგებელ გუნდად. პარაგვაელებთან მასპინძლებს შემოქმედი აკლდათ, ასეთი კი მათ გუნდში ზინედინ ზიდანია. ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრაში, საუდელებთან მატჩში, ზიდანმა ერთ მომენტში თავი ვერ შეიკავა და ფეხებში ჩავარდნილ მეტოქეს წიხლი ჩააზილა. ულირსი საქციელით მან არა მარტო დაალალატა თავისი გუნდი, კინალამ თავიც დაიღუპა. სანამ ზინედინი მოედანზე გახლდათ, ფრანგებმა სამხრეთი აფრიკა ალგავეს პირისაგან მიწისა, საუდელები კი საერთოდაც გაანადგურეს, მერე ზიდანს ზემოხსენებული საქციელისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მანაც მინდვრიდან სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, ნაკრები კი ბეწვზე გადარჩა გავარდნას.

განგაშის ზარმა ჯერ კიდევ დანიელებთან მატჩისას ჩამოჰკრა — ფავორიტად მიჩნეულ ფრანგებს სკანდინაველებთან ერთობ გაუჭირდათ. მართალია, საბოლოოდ დაამარცხეს კიდეც მეტოქე, მაგრამ გვარიანად ღვარეს ოფლი, გარდა ამისა, ხალხიც ანერვიულეს.

მერვედფინალში ფრანგებს პარაგვაი დაუპირისპირდათ. უმეტესობამ ემე ჟაკეს გუნდი უცილობელ ფავორიტად მიიჩნია, უეჭველ მეოთხედფინალისტადაც მონათლეს, მაგრამ თამაშმა ყველანაირი პროგნოზი გააქარწყლა, ფრანგთა იმედები კი კინალამ დაამსხვრია. საფრანგეთი ამაზრზენი სანახავი გახლდათ, წვალობდნენ, ჯახირობდნენ, გოლი კი ვერა და ვერ გაჰქონდათ. ამ დროს პარაგვაი ბრწყინვალედ ირჯებოდა, განსაკუთრებით დაცვა. ვფიქრობ, ერთი გოლეადორი რომ ჰყოლოდათ, ცეზარ კარპეჯიანის რჩეული ფეხბურთელები მასპინძლებს დაამარცხებდნენ.

იმ დროს, როცა ფრანგები პარაგვაელებთან ცოდვილობდნენ, ზიდანი მინდვრის გარეთ, სათადარიგოთა შორის ჩამომჯდარიყო და იტანჯებოდა. იცოდა შეჭირვებულ თანაგუნდელებს ვერაფრით დაეხმარებოდა და წუხდა. ეგებ მწარედაც ნანობდა, რაც ჩაიდინა. იტანჯებოდა ზიდანი და რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო იპყრობდა შიში, რომ მას შეიძლებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტი ველარც ეთამაშა.

საფრანგეთი გადარჩა — ტრეზეგეს თავური გადაცემა მცველის კვალობაზე საკმაოდ შედეგიანმა ლორან ბლანმა გოლად აქცია. ოქროს გოლმა გამარჯვება ფრანგებს მოუტანა.

...ზიდანი ნამდვილად აკლდა გუნდს. ეს გულშემატკივართათვისაც ცხადი გახლდათ. საფრანგეთს თითქოს გონება დაუბინდესო, არ იგრძნობოდა შემართება, ლტოლვა ლამაზი ფეხბურთისკენ. შესაბამისად არანაირი ნიშანწყალი გამარჯვებისა. საფრანგეთმა მეოთხედფინალში გააღწია, იქ კი ზიდანიც დაემატება გუნდს.

— მართალია, ახლა გაცილებით ძლიერი და სახიფათო მეტოქე გვყავს იტალიის სახით, მაგრამ იმედი მაქვს, ზიდანის დაბრუნების შემდეგ გუნდი ერთიორად შეიცვლება — ასეთი გახლდათ მიშელ პლატინის აზრი. შეუძლებელია, მას არ დაეთანხმო. საფრანგეთს პარაგვაელებთან ერთი მოთამაშე აკლდა, სამაგიეროდ როგორი?! ზიდანი მასპინძლებს გამარჯვებას გაუადვილებდა. ამის მტკიცება ძნელია, მაგრამ იგი რომ მოედანზე ყოფილიყო, მასპინძლებს დამატებით დროში გარჯა ალბათ აღარ მოუწევდათ.

„საფრანგეთი გუნდი რა ყოფილა. ემე ჟაკეს მსოფლიოს ჩემპიონატამდე არაფერი გაუკეთებია. მას ზიდანის იმედი ჰქონია. ჟაკე ზიდანის გუნდში ყოლით თვალს გვიხვევდა და შეუბრალებლად გვაცრუებდა. კიდევ კარგი, ახლა ზიზუ გუნდს დაუბრუნდა, თორემ იტალია ჩვენ უეჭველად დაგვამარცხებდა“ — „ლე პარიზიენი“, ისევე როგორც ბევრი სხვა ფრანგული გაზეთი, ჟაკეს აკრიტიკებდა. მეტიც, მიწასთან ასწორებდა.

„ზიზუ, შენ უნდა გვიშველო!“ — „ლე მონსიონი“ საერთოდაც ვედრებაზე გადასულიყო.

წარმოგიდგენიათ რამხელა განსხვავება ყოფილა ზიდანიან და უზიდანო საფრანგეთის ნაკრებს შორის. კიდევ კარგი, მეოთხედფინალის წინ „იუვენტუსის“ ნახევარმცველს ამოეწურა დისკვალიფიკაცია, თორემ იტალიასთან ფრანგებს ძალიან გაუჭირდებოდათ. ზიდანის არყოფნაში ჯორკაეფს უნდა ეტვირთა გამთამაშებლის ფუნქცია, მაგრამ იურიმ რაც აკეთა, ამას კარგად ნახავდით.

არა, ერთი კაცი (ცხადია, მასაც გააჩნია ვინ არის) ფეხბურთში თურმე ძალიან ბევრს ნიშნავს.

გახსოვთ არგენტინის ნაკრები ოთხი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე? მაშინ ბრწყინვალე დიეგო მარადონა გუნდის სული და გული გახლდათ, თუმცა აკრძალული სტიმულატორების მიღებაში ამხილეს, შესაბამისად მოკვეთეს და არგენტინამაც ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო, მსოფლიოს ჩემპიონატსაც დაემშვიდობა. მაშინ არგენტინა ვერ გადარჩა, ახლა კი საფრანგეთი სირცხვილს დაუძვრა. საინტერესოა, დიდი ხნით?

### მიქაელი

იმ დღესვე, საფრანგეთმა ძლივს რომ შეძლო პარაგვაის დამარცხება, დანიამ ნიგერიის ნამდვილი სახე წარმოაჩინა, უფრო სწორად, ბორა მილუტინოვიჩის „სუპერარწივები“ ამხილა. გულშემატკივართა სოლიდური რაოდენობა ამ შეხვედრამდე გამარჯვებას აფრიკელებს უწინასწარმეტყველებდა, თუმცა ევროპის 1992 წლის ჩემპიონებმა ბრწყინვალე ძმები ლაუდრუპების, განსაკუთრებით კი მიქაელის თავკაცობით, ნიგერიელებს თავისი ადგილი მიუჩინეს. ახლა არ დავიწყებ დანიელთა შესანიშნავ თამაშზე საუბარს, აღარ აღვწერ ბრწყინვალე კომბინაციებს, უბრალოდ, მატჩის ანგარიშს შეგახსენებთ, რომელიც ყველაფერზე მეტყველებს — 4:1 დანიელთა სასარგებლოდ.

სკანდინაველთა გამარჯვება უკლებლივ ყველა ფეხბურთელის დამსახურებაა, თუმც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი უფროსი ლაუდრუპია, მიქაელი, მოთამაშე, რომლის დარიც ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრი არ მოიძებნება.

ბრწყინვალე დანიელმა, ლამის ოთხ ათეულ წელს რომ მიუკაკუნა, ფიზიკურად გაცილებით ძლიერი მეტოქენი გონით, აზროვნებით დაჯაბნა. ხერხი სჯობია ღონესაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი — შესანიშნავი პასებით და კომბინაციებით დანიელებმა ისედაც დაბზარული ნიგერია მთლიანად გახლიჩეს. ოთხი გოლიც გაიტანეს და მეოთხედფინალშიც გავიდნენ.

გარდა იმისა, რომ მიქაელ ლაუდრუპმა ბრწყინვალედ ითამაშა, შეუძლებელია დაივიწყო ის გადაცემა, დანიელებს მესამე გოლი რომ არგუნა — ჭკვიანტით უზუსტესად და დროულად გადაგდებული ბურთი, იქ კი ახლადშესულმა ებე სანდმა თავისი საქმე ბრწყინვალედ შეასრულა. ძნელია სიტყვებით აღწერო მიქაელის ის მოქმედება, იგი უნდა ნახო.



რობერტო ბაჯო — ჩეზარე მალდინის მიერ უარყოფილი გენიოსი

სარბიელის არქივიდან

„მიქელანჯელო ქანდაკებებს მოეშვა და ფეხბურთის თამაში იწყო! მიქაელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია!“ — დანიური პრესა გამარჯვების სულისჩამდგმელად უფროს ლაუდრუპს მიიჩნევდა. კაცმა რომ თქვას, მართლაც ასეა — მართალია დიდ დანიელს გოლი არ შეუგდია, მაგრამ ორი ბურთი ხომ მისი წყალობით გავიდა. ებე სანდისთვის მიწოდებული ბურთი კი საერთოდაც ზღაპრული გახლდათ.

— მიქაელის წყალობით გავიმარჯვეთ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია, ისეთი, როგორიც უნდა იყოს გუნდის ლიდერი — დანიელთა შვედი მწვრთნელი ბო იოჰანსონი ძალიან გახარებული, აღფრთოვანებული გახლდათ.

მიქაელ ლაუდრუპმა დაამტკიცა, რომ ის ბრწყინვალე მოთამაშეა. იქნებ წინა შეხვედრებში მას შესაძლებლობები სრულად არც გამოუვლენია, მაგრამ ამით რა დაშავდა? ბევრი არაფერი. იქ, სადაც ყველაზე საჭირო იყო მისი ძლიერება, მან თავის საქმე ბრწყინვალედ შეასრულა, დანიაც შემდეგ წრეში გავიდა.




მიქაელ ლაუდრუპი — ნიგერიელთა ვარამის გამზიარებელი

სარბიელის არქივიდან

წინ ბრაზილიაა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ახლა მეხუთე ტრიუმფისთვის რომ ემზადება. დანიელებს მიქაელი კვლავაც სჭირდებათ. მანაც კარგად უწყის, რომ წაგება მსოფლიოს ჩემპიონატთან სამუდამოდ დამშვიდობების ტოლფასი იქნება, არადა, უდიდესი სიამოვნების გახანგრძლივება რომ სწადია, ამას თქმა არ უნდა. ეგებ მოხდეს და ნახევარფინალში...

### უმიზეზოდ უარყოფილი

დიდი ხალხი ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ცოტაა, თითზე ჩამოსათვლელი. ამჯერად ყველაზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა შეუძლებელია არ ახსენო ერთ-ერთი მათგანი, კაცი, რომელსაც სანწაული ძალუძს, მაგრამ რომელიც მწვრთნელის მოსაზრებებს ეწირება.

რობერტო ბაჯო უდავოდ აკლდა იტალიის ძლიერ, მაგრამ ლამის ფეხბურთის მტრად ქცეულ გუნდს. „სკუადრა აძურა“ მოკლებულია ფანტაზიას, სამაგიეროდ აქვს შედეგი. რობერტო ბაჯოც სწორედ შედეგზე გამუდმებულ ფიქრს ეწირება.

წამით დავფიქრდეთ. განა იტალია რობერტო ბაჯოთი ნაკლებად თამაშობდა, ვიდრე იტალია დელ პიეროთი? მგონი, უკეთესადაც...

გაუგებარია, რატომ ახეხინებს ჩეზარე მალდინი რობის სათადარიგოთა სკამს, როცა შეიძლება გენიოსი მოედანზე გყავდეს და ხალხი დაატკბო.

ელემენტარული ჭეშმარიტება არ არის, რომ გუნდი, რომელსაც ფეხბურთი არ უყვარს (ცხადია გადატანითი მნიშვნელობით) მსოფლიოს ჩემპიონატს ვერ მოიგებს? ვშიშობ, „სკუადრა აძურას“ ასე არ დაემართოს.

დაუშვებელია რობერტო ბაჯო გყავდეს ნაკრებში და არ ათამაშებდე. მაშინ საერთოდ რა აზრი ჰქონდა მის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანას?

რობერტო ბაჯოს არყოფნით იტალია ბევრს კარგავს, ჩეზარე მალდინის ახირებები კი გუნდს შეიძლება ძვირად, ძალიან ძვირად დაუჯდეს.

# დანიური პოლკა ბრაზილიურ სამბასაც კარგად შეეწყობა

## აცხადებენ დანიური გაზეთები



გახარებული იორგენსენი შიონბერგს ზურგზე მოხტომია

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი დიადი დიეგო მარადონას მითიური გოლებისა და არგენტინის ნაკრების ტრიუმფალური გამარჯვების გარდა კიდევ ერთი რამით იყო გამორჩეული. იმ წელს მექსიკაში გამოჩნდა გუნდი, რომელიც ნამდვილ შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს და ყველას უმოწყალოდ თელავდა, ვინც კი გზად გადაეყრებოდა. მიხვდით, ალბათ, საუბარი მართლაც ლეგენდარულ დანიის ნაკრებზე გვაქვს. სორენ ლერბი, იესპერ ოლსენი, მიქაელ ლაუდრუპი და უბრწყინვალესი პრებენ ელკიაერ-ლარსენი ის ფეხბურთელები იყვნენ, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი არა მარტო დანიური, არამედ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში. კი მაგრამ, ახლა ხომ 1998 წლის მსოფლიოს პირველობა მიმდინარეობს და ამ თორმეტი წლის წინანდელი ამბის გახსენება ნეტა რად დასჭირდათო — იკითხავს მავანი. მართალია, საფრანგეთში სულ სხვა დანიის ნაკრები ჩავიდა და მას ძველთაგან მხოლოდ მიქაელ ლაუდრუპი შემორჩა, მაგრამ გუშინწინ მთავარი მწვრთნელის ბო იოჰანსონის ქვეშევრდომების მიერ მერვედფინალურ შეხვედრაში ნიგერიელების 4:1 განადგურებამ სწორედ „დანიურ დინამიტად“ შერაცხული გუნდი მოგვაგონა. მაშინ ელკიაერმა და კომპანიამ ჯგუფური ტურნირი შესანიშნავად განვლეს. რიგრიგობით დაამარცხეს შოტლანდიის, ურუგვაისა და გერმანიის ნაკრებები და მსოფლიოს ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებად ითვლებოდნენ, მაგრამ ზედმეტად თავდაჯერებულებმა მერვედფინალში ძალები ვერ გათვალეს და ესპანეთთან 1:5 შერცხვნენ. არადა, მათი თავკაცის, ზეპ პიონტეკის ფიქრები იმ შეხვედრის დაწყებამდე უკვე მეოთხედფინალს დასტრიალებდა და სავარაუდო მინდვრის დასაზვერად მსტოვრებიც კი აფრინა...

თავიანთი ძლევამოსილი წინამორბედებისგან განსხვავებით, წლევანდელი დანიის ნაკრები ჯგუფურ ტურნირში კარგი თამაშით სულაც არ გამოირჩეოდა. მათი შემხედვარე ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ეს გუნდი მერვედფინალში გასვლას შესძლებდა. თუმცა, ისე კი მოხდა და იქ რა გმირობაც ჩაიდინეს დანიელებმა, ყველას მშვენივრად მოეხსენება.

დანიელთა წარმატებას უდიდესი რეზონანსი მოჰყვა მთელს მსოფლიოში. ვფიქრობთ, მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება, თუ როგორ გამოეხმაურნენ მომხდარს თავად ტრიუმფატორთა სამშობლოში. გეხსომებათ, მას შემდეგ, რაც იმ დიდი გუნდის მზე ჩაესვენა, ფეხბურთის სპეციალისტები თუ რიგითი ქომაგები დარწმუნებით ამბობდნენ, დანიას ასეთი ნაკრები არასოდეს ჰყოლია და, ალბათ, ვერც ვერასდროს ეღირსებათო. მართალია, ქერა დანიელებმა 1992 წელს შვედეთში ევროპის პირველობასაც კი გამოჰკრეს ხელი, მაგრამ მათი „დანიურ დინამიტად“ მოხსენიება არავის მოსვლია აზრად.

ახლა ვითარება შეიცვალა. დანიელებმა ნიგერიელებთან იმდენად შთამბეჭდავად გაიმარჯვეს, რომ ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები წამდაუწუმ იმ შეხვედრას აშუქებენ და ბო იოჰანსონისა და პიონტეკისეულ გუნდებს საკმაოდ ხშირად ადარებენ ერთმანეთს.

— ფეხბურთი, რომელიც ჩვენმა ნაკრებმა საფრანგეთის დედაქალაქში აჩვენა, გვაფიქრებინებს, რომ დანიური პოლკა ბრაზილიურ სამბასაც კარგად შეეწყობა — წერდა „პოლიტიკენი“.

— ყველაზე თავგამოდებულ გულშემატკივარსაც კი არ შეეძლო ნიგერიელებთან გასამართი მერვედფინალური მატჩის წინ ჩვენი ნაკრების ასეთი დამაჯერებელი მოგება ეწინასწარმეტყველა. დანიელებმა ნიალვარივით წალეკეს მეტოქე და მეოთხედფინალის ადგილი უპრობლემოდ დაიბევეს. ის კი არა, კვირას „სტად დე ფრანსზე“ მხოლოდ ერთი გუნდის ფეხბურთელები ჩანდნენ და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ისინი ჩვენი თანამემამულენი იყვნენ — ასე შეაფასა დანიელთა თამაში „ბერლინგსკე ტიდენტემ“.

— საშინელ სტილში ჩატარებული ჯგუფური ტურნირის თამაშების შემდეგ არავინ ფიქრობდა, რომ დანიის ნაკრები მერვედფინალში წარმატების მიღწევას შეძლებდა. თუმცა, მათ შეუძლებელი შეძლეს და გულშემატკივართა ოცნება რეალობად აქციეს. ჩვენ ხომ აქამდე არასოდეს გავსულვართ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში. ეს მართლაც ზღაპარს ჰგავს — კმაყოფილებას ვერ ფარავდა „ექსტრა ბლარეტი“.

— ასეთი ნაკრები დანიას 90-იან წლებში ნამდვილად არ ჰყოლია. მათ მართლაც საუცხოოდ ითამაშეს. ახლა ბრაზილიის ნაკრები გველის და თუ აქამდე ჩვენს შანსებს დიდად არ ვაფასებდით, კვირის მატჩის შემდეგ სულ სხვაგვარად ვფიქრობთ. დანიელებმა დაამტკიცეს, რომ მსოფლიოს დონის ნაკრები ჰყავთ და მათთან გამკლავება ნებისმიერ მეტოქეს გაუჭირდება. ასე რომ, ჯერ კიდევ არავინ იცის, რა მოხდება მეოთხედფინალში — ესეც „პოლიტიკენის“ სიტყვები გახლავთ.

— ჩვენი გამარჯვება თავისი მნიშვნელობით თავისუფლად შეგვიძლია 1992 წლის ევროპის ჩემპიონობას გავუტოლოთ. გუნდმა ისე ითამაშა, თვით ლეგენდარული 80-იანების „დანიური დინამიტი“ მოგვაგონა. მერვედფინალური შეხვედრა კი, ალბათ, საუკეთესო იყო დანიის ფეხბურთის ისტორიაში — წერდა „ჯილანდს-პოსტენი“, რომელმაც ნიგერიელების ტურნირიდან გამოთიშვას წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის უპირველესი სენსაცია უწოდა.

გაზეთები გაზეთებად, მაგრამ სენსაციური გამარჯვების ავტორები ხომ თავად ფეხბურთელები იყვნენ. ამათგან მიქაელ ლაუდრუპი, ალბათ, საგანგებო გამოყოფის ღირსია. კაცმა, რომელიც ეროვნულ ნაკრებში თავის 103-ე მატჩს ატარებდა, მართლაც საუცხოოდ ითამაშა. ჩვენ ვერაფრით დავეთანხმებით მავანი კომენტატორის აზრს, თითქოს ეს ვეტერანი კვირას უნიათოდ ირჯებოდა და თავი არაფრით გამოუჩენია. პირიქით, პირველ საგოლე პასს რომ თავი დავანებოთ, უფროსმა ლაუდრუპმა შეხვედრის გადამწყვეტ მომენტშიც გაიბრწყინა. მაშინ, როცა ანგარიში 2:0 იყო და მოედანზე გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩებოდა, მიქაელმა ისეთი საგოლე გადაცემა მიაწოდა ოცდაორი წამის წინ შეცვლაზე შესულ სანდს, რომ ნიგერიელთა მცველი ტარიბო უესტი გაოგნდა და ფორვარდს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ალბათ, დაგვეთანხმებით, თამაშის ბედი საბოლოოდ იმ მომენტმა გადაწყვიტა და ამაში ლომის წილი სწორედ ლაუდრუპმა დაიდო.

მატჩის შემდეგ ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბარში ბო იოჰანსონმა ასე შეაფასა ლაუდრუპის ღვაწლი:

— ამ საღამოს შეუდარებელნი ვიყავით. ასეთი დანიის ნაკრები, პირადად მე, დიდი ხანია, არ მინახავს. ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი კი, რა თქმა უნდა, ჩინებულ ფორმაში მყოფი გამთამაშებელი მიქაელ ლაუდრუპი გახლდათ, რომელმაც ახალგაზრდობის წლები გაიხსენა და ისე გაისარჯა, როგორც არასდროს.

თუმცა, მიღწეული წარმატების მიუხედავად, დანიის ნაკრებს დიდი სიფხიზლე მართებს, რადგან მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბრაზილია ნიგერიის ნაკრები სულაც არ გახლავთ და მასთან გამარჯვება მხოლოდ უდიდესი თავდადებით თუ მიიღწევა. თანაც, მეოთხედფინალში დანიელებს არასდროს უასპარეზიათ, ეს კი ფეხბურთელებს ერთგვარ პრობლემებს შეუქმნის. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, რაც უნდა ვთქვათ, მეოთხედფინალური ბრძოლის დაწყებამდე ერთი რამ დღესავით ნათელია: ბრაზილია — დანიის მატჩი უალრესად საინტერესო იქნება და უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს მილიონობით მაყურებელს მთელს მსოფლიოში.

ირაკლი ხმელიძე

# ნიგერიამ საკუთარ თავში ჩაიხედა

მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში დანიელებთან 1:4 განადგურება ნიგერიაში მეტად მტკივნეულად აღიქვეს. არადა, გულახდილად უნდა ითქვას, აფრიკელთა ამგვარ წარუმატებლობას მართლაც არავინ მოელოდა. „სუპერარწივებმა“ ხომ ერთობ წარმატებით ჩაატარეს ჯგუფური ტურნირის პირველი ორი შეხვედრა და უპრობლემოდ დაიბევეს შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება. თავიანთი გუნდის ლამაზი, თამამი თამაშის შემხედვარე ნიგერიელ გულშემატკივრებს გული მიეცათ და სანუკვარი მიზანი — მსოფლიოს ჩემპიონობა — თითქოს სულ ახლოს წარმოედგინათ. თუმცა ზოგიერთ დაკვირვებულ ქომაგს გულმა ჯერ კიდევ მაშინ უყო რეჩხი, როდესაც ნიგერიელთა თავკაცმა ბორა მილუტინოვიჩმა პარაგვაელებთან გასამართი შეხვედრის წინ გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა და მინდორზე თითქმის სათადარიგო შემადგენლობას უხმო. ამგვარ გადაადგილებას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ საგანგაშო თვითონ ის ფეხბურთი იყო, რომელიც ნიგერიელებმა სამხრეთამერიკელებთან უჩვენეს. მათ ფაქტობრივად არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწიეს მეტოქეს და სამი ქულაც უბრძოლველად დაანებეს. ჯგუფში პირველი ადგილი ისედაც განაღდებული გვქონდა და მილუტინოვიჩმა ძალიანაც კარგი ქნა, საუკეთესოებს დასვენების საშუალება რომ მისცაო — ამბობდნენ ქომაგნი, თუმცა ნიგერიის ნაკრების საქმეები რომ კარგად ვერ მიდიოდა, უკვე მერვედფინალურმა შეხვედრამ აჩვენა, რომელშიც მწყობრად და ტაქტიკურად გამართულად მოთამაშე დანიის ნაკრებს დასვენებულმა ნიგერიელებმაც ვერაფერი დააკლეს.

— ჩვენი ფეხბურთელები მთლად მობილიზებულნი ვერ შეხვდნენ იმ თამაშს. ზოგიერთი რეჟიმს ხშირად არღვევდა და იყო ისეთი შემთხვევები, როცა გუნდის წევრები ბაზაზე მთელი ღამის განმავლობაშიც კი არ ბრუნდებოდნენ. საწყენია, მაგრამ ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ ვერაფერი მოუხერხა იმ უგერგილობასა და დაუდევრობას, რომელიც, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ჩვენში, როგორც ერში, მეტად ღრმადაა გამჯდარი — განაცხადა ერთ-ერთმა გაგულისებულმა ფანმა ქვეყნის რადიოთი გამოსვლისას.

— ის, რაც სხვა განვითარებული ქვეყნებისთვის ელემენტარულია, ჩვენთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. საჭირო დროს მზადყოფნა, რეჟიმის დაცვა და საკუთარი მოქმედების ზედმიწევნით ზუსტად გათვლა ის თვისებებია, რომლებიც ჩვენს ფეხბურთელებს არ გააჩნიათ. აი, რატომ დავმარცხდით კვირის მატჩში დანიელებთან — სხვებს არც მეორე გულშემატკივარი ჩამორჩა, რომელსაც თურმე უდიდესი იმედი ჰქონდა, რომ ნიგერიის ნაკრები დიდი წარმატების მიღწევას შეძლებდა და მსოფლიოს თასი აფრიკაში გაემგზავრებოდა.

როგორც ჩანს, პირველ შეხვედრებში მიღწეულმა წარმატებებმა 104 მილიონიანი ნიგერიის მოსახლეობა თავისი გუნდის უძლეველობაში დაარწმუნა. ხალხი, რომელიც უკვე დაიღალა ქვეყანაში შექმნილი გაუთავებელი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისით, დიდი იმედით ელოდა „სუპერარწივების“ მომდევნო შეხვედრას და ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ მილუტინოვიჩის ქვეშევრდომები მორიგი ბარიერის დაძლევას საკმაოდ ადვილად შეძლებდნენ. ამავე აზრის იყო ქვეყნის სამხედრო ლიდერი, გენერალი აბდულსალამ აბუბაქარი, რომელმაც ზედ ჩემპიონატის წინ გარდაცვლილი მეტად არაპოპულარული დიქტატორი გენერალი სანი აბაჩა შეცვალა. ახალმა მმართველმა ნიგერიელ ფეხბურთელებს მათ მიერ 1996 წელს მოგებული ოლიმპიური ოქროს მედლები გაახსენა და საფრანგეთშიც დიდი წარმატებების მისაღწევად გაგზავნა. თუმცა დანიელმა ფეხბურთელებმა ნიგერიელი ხელმძღვანელობის სურვილები არად ჩააგდეს და მეტოქეს მეტად დაუნდობლად მოექცნენ.

— როგორც გამოჩნდა, ჩვენი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატს სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. მართალია, რამდენიმე კვირის წინ წინასასაფრანგეთო მზადების ციკლში გამართულ ამხანაგურ მატჩებში კატასტროფული ანგარიშებით დამარცხებებმა ჩვენში მეტად უარყოფითი ემოციები გამოიწვია, მაგრამ ჯგუფური ტურნირის საწყის შეხვედრებში მიღწეულმა წარმატებამ ყველაფერი დაგვავიწყა და გვეგონა, რომ ამ მშვენივრად ჩატარებული თამაშების სერია კიდევ დიდ ხანს გაგრძელდებოდა. თუმცა დანიელებთან მარცხმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და კარგად დაგვანახა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობამდე ჩვენს ნაკრებს კიდევ ბევრი უკლია — ასეთი გახლდათ ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსის ერთ-ერთი უმძლავრესი რადიოარხის კომენტატორის შეფასება.

კრიტიკას ვერც ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი ასცდა. მას ძირითადად ტაქტიკური მონახაზის არასწორად შერჩევაში დასდეს ბრალი.

— მილუტინოვიჩს არაერთ ნაკრებთან უმუშავია და მისებრ დიდი გამოცდილებით ბევრი ვერ დაიკვეხნის. ამიტომ ვიმედოვნებდით, რომ იგი ნიგერიის ნაკრებსაც გამართული ტაქტიკითვთ ათამაშებდა. მან კი რატომღაც ამის გაკეთება ვერ შეძლო. თუმცა წარუმატებლობაში მხოლოდ მთავარ მწვრთნელს როდი მიუძღვის ბრალი. ახალი არავისთვისაა, რომ თავად ნაკრების ფეხბურთელებიც ხშირად სცოდავდნენ და თითოეულ მატჩს არასათანადო განწყობით ხვდებოდნენ. ამან კი სადამდეც მიგვიყვანა, ყველამ კარგად უწყის. ვფიქრობ, აუცილებელია, მწვრთნელსაც და მოთამაშეებსაც წარუმატებლობის მიზეზები მკაცრად მოეთხოვოს — განაცხადა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

ირაკლი ხმელიძე




ნიგერიელებს დანიელებთან მარცხის შემდეგ თავი არსად გამოეყოფათ

# სიმპსონსაც გზა დაულოცეს

ოჰ, კვლავ ეს მწვრთნელების დაუსრულებელი გადადგომა...ვინ მოთვლის, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში უკვე მერამდენედ გვიხდება მათზე საუბარი, რომელთაც თავიანთი გუნდების წარუმატებელი გამოსვლა თანამდებობის დაკარგვად დაუჯდათ. ამერიკის ნაკრების თავკაც სტივ სიმპსონს დიდი პრობლემები რომ ჰქონდა, ამაზე ადრეც ვიუწყებოდით. მაშინ ისიც ვთქვით, აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის დიდმოხელეებს ახლანდელი ხელმძღვანელი გულზე დიდად არ ეხატებათ და მის გუნდიდან წასვლას წინ სულაც არ აღუდგებიანო. ისემც ყველაფერი აგიხდეთ. გუშინ სიმპსონმა ოფიციალურად განაცხადა ნაკრების ხელმძღვანელის პოსტიდან წასვლის შესახებ, რასაც ამერიკის საფეხბურთო სამყაროს მხრივ მეტად ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა.

— ჩვენ ძალიან კარგად გვესმის სტივის. ნაკრების სათავეში მოსვლის პირველივე დღიდან იგი მუხლჩაუხრელად შრომობდა და კარგ შედეგსაც მიაღწია. ამიტომ გუნდთან განშორება მისთვის ძალიან ძნელია. თუმცა რას იზამ, ეს ხომ ცხოვრებაა, სადაც ყველაფერი ხდება. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მადლობა ვუთხრათ სიმპსონს მისი უანგარო დახმარებისთვის. მან ხომ უდიდესი წვლილი შეიტანა აშშ-ში ფეხბურთის წინსვლასა და განვითარებაში — განაცხადა აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალან როტენბერგმა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმპსონის მოღვაწეობას დიდმოხელეთა გარდა ვერც ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები ეგუებოდნენ. ალექსი ლალასი, ტაბ რამოსი და პრეკი რადოსავლევიჩი ის მოთამაშეები იყვნენ, რომლებიც წამდაუწუმ აკრიტიკებდნენ მწვრთნელის ტაქტიკურ მონახაზებს და თვლიდნენ, რომ მისი ხელმძღვანელობით ეროვნული გუნდი საფრანგეთში დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევდა.

ირაკლი ხმელიძე



გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# სკოლა

FRANCE 98

ნიგერიისა და დანიის გუნდების თამაშს რომ ვუყურებდი, ერთი ძველი ფილმი გამახსენდა. იმ ფილმს „გარეული ბატები“ ერქვა და საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. თუ არ მეშლება, მთავარ როლებს რიჩარდ ბარტონი, რიჩარდ ჰარისი და როჯერ მური ასრულებდნენ. ჩვეულებრივი კინო იყო — 70-იანი წლების ცნობილი ამბების გამოხმაურება. დაქირავებული მებრძოლები ერთ დიქტატორულ აფრიკულ ქვეყანაში გადასხდებიან, რათა იქ დილეგში გამომწყვდეული კანონიერი პრეზიდენტი ლონდონში გამოიტაცონ. ამ საქმის სანახევროდ მოახერხებენ, მაგრამ საქმის შემკვეთი დაალალატებთ და თხუთმეტიოდე მებრძოლს მთელი არმიის წინააღმდეგ უწევთ ომი. იღუპებიან კიდეც, მაგრამ მაინც იმარჯვებენ, რადგან იმ აფრიკელ ჯარისკაცთაგან განსხვავებით სკოლაში უსწავლიათ და თავის საქმეს ზუსტად და ყოველგვარი ყიჟინის გარეშე ასრულებენ.

რაღაც ამის მსგავსი მოხდა სენ დენის მინდორზეც.

დანიელთა ერთადერთი შანსი ნიგერიელთა წინააღმდეგ მათი სკოლა, ასე ვთქვათ ტაქტიკური ინტელექტი იყო და დანიელებმაც ზუსტად გამოიყენეს თავიანთი ინტელექტი. მათი შვედი მწვრთნელსა და ბორა მილუტინოვიჩს ადგილები რომ გაეცვალათ, ალბათ, შედეგი იგივე იქნებოდა — დანია მაინც მეოთხედფინალში გავიდოდა. აქ საქმე უფრო ფეხბურთელებში იყო, ვიდრე ტაქტიკასა და სტრატეგიაში, დანიელები ძალიან აკურატულად თამაშობდნენ, ნიგერიელებს კი თითქოს ტალახიანი ჩექმები ეცვათ.

ეგებ აკურატულობა დანიელთა ეროვნული თვისებაც იყოს, მაგრამ მხოლოდ აკურატულობას კაცი რა თავში იხლის მინდორზე. დანია კარგად ორგანიზებული გუნდია და თუკი რამეს მიაღწია ამ ჩემპიონატზე, სწორედ ორგანიზაციის წყალობითააო, გამიგონია ასეთი ნათქვამი, მაგრამ, დანიურ ფეხბურთს მხოლოდ ორგანიზაციისთვის ნაღდად ვერ გავწირავ, ბოლოს და ბოლოს, დანია ხომ ნორვეგია არ არის?

ამავ ნორვეგიელებთან შედარებით დანიელთა საფეხბურთო ინტელექტი ბევრად მაღალი ჩანს. ამიტომაცაა, რომ ეგილ ოლსენმა თამაშისა და ტაქტიკის ერთადერთი სწორი გზა შეურჩია თავის ნაკრებს. სხვაგვარი ფეხბურთის თამაში ნორვეგიელთა მხრივ, ყოვლად წარმოუდგენელია.

დანიელთაგან კი გვინახავს სხვაგვარი, ძალიან მაღალი დონის, მიმზიდველი, რბილი და სიმპატიური ფეხბურთიც.

ფიფას ერთ-ერთი უძველესი წევრი დანია, ათწლეულების განმავლობაში რჩებოდა მსოფლიო ფეხბურთის მაჩანჩალად. აქ ლაღი და შემტევი სამოყვარულო თამაში არსებობდა და ვითარდებოდა. ამ მოყვარულთა შორის , რა თქმა უნდა, უნიჭიერესი ფეხბურთელებიც ერივნენ, მაგრამ საზღვარგარეთის პროფესიულ კლუბებში მათი სახელის გავარდნა 70-იან წლებშიღა მოხდა. მანამდე დანიელები პატარა გერმანული და ჰოლანდიური კლუბების ხელფასებითაც კმაყოფილნი იყვნენ. პირველი დიდი დანიელი კი ალან სიმონსენი იყო, მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ ტანმორჩილი საოცრება, ახლა ფარერის კუნძულების ნაკრების მწვრთნელი, რომელიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაც კი აღიარა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვამ.

დანიელი! — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი.

ეს დღესაც მრავლისმეტყველი ამბავია.

მე თუ მკითხავთ, სწორედ სიმონსენიდან, მისი სახელიდან დაიწყო ყველაფერი. სწორედ ასეთი კაცის არსებობა იყო საუცხოო კატალიზატორი დანიური ფეხბურთის მამებისთვის, რომელთაც გადაეწყვიტათ სანაკრებო საქმის აღორძინება. მაშინ ერმა მოუწოდა მთელს ევროპაში დაფანტულ პროფესიონალებს, რათა ამათ ნაკრებში თამაში ეკადრათ. მწვრთნელიც გამოიძებნა, ჩიბუხიანი, ოდნავ გაბრაზებული კაცი — ზეპ პიონტეკი, ნახევრად გერმანელი, ნახევრად დანიელი კაცი და დაიწყო დიდი ისტორია. ევროპის ჩემპიონატის საოცარი შესარჩევი ტურნირი, მერე კი ევროპის ჩემპიონატი, სადაც გაირკვა, რო[illegible]ანიას ვარსკვლავები და დიდი ფეხბურთელები ჰყოლია და რომ დანიის გუნდი ხავერდოვან და ლამაზ ფეხბურთს თამაშობს — ჩამოთვლას აზრი არცა აქვს. ისტორიას კი არ ვყვები.

უბრალოდ, ის მინდა ვთქვა, რომ იმ საოცარი გუნდის შემდეგ დანიის ნაკრებმა დაცემაც განიცადა, ევროპის ჩემპიონობაც მოიგო სულ სხვა შემადგენლობით და აგერ დღეს, პირველად თავის ისტორიაში, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალშიც გავიდა. ბოლო ჩვიდმეტ წელიწადს დანიის ნაკრებს სამად სამი მწვრთნელი ჰყავდა — პიონტეკი, რიქარდ მიოლერ ნილსენი და ახლანდელი ბო იოჰანსონი. სამივეს სხვადასხვაგვარი გუნდი ჰყავდა. პიონტიკს — ხევარიც კი არ გააჩნიათ.

ნიგერიელებს კი ყოველთვის აკლდათ საფეხბურთო წესრიგი. მათი ფეხბურთი ყოველთვის ლაღი, შემტევი და ხალისიანი იყო, მაგრამ ერთგვარი უდარდელობა და დაბალი გუნდური ინტელექტი კვლავაც რჩება ამ ნაკრების მთავარ ნაკლად. გინდა ბორა მოიყვანე, გინდა ჰელმუტ შიონი — „გარეული ბატები“ ყოველთვის აჯობებენ ნიგერიელებს, რადგან შავ აფრიკას მაინც ზერელე მიდგომა აქვს თანამედროვე თამაშისათვის. ცალცალკე ყველა ნიგერიელი კარგია, მაგრამ გუნდად ეს ხალხი „გამოგვივა — არ გამოგვივას“ პრინციპს ეყრდნობა და ოლიმპიური ოქროც ფეხბურთისთვის მხოლოდ ერთი პრესტიჟულად ქცეული ტურნირის მო-



ბრაიან ლაუდრუპი, ალბათ, ვერასოდეს გახდება მსოფლიოს ჩემპიონი, მოხდენილ და ჭკვიან მოთამაშედ კი ყოველთვის აღიარებენ

ვარსკვლავური, ნილსენს — შემპარავი და ეშმაკი, ბო კი შვედი გახლავთ. შვედ მწვრთნელებს კი გასაგიჟებლად დაწმენდილი ტაქტიკური სურათების შექმნა ხელეწიფებათ. მისმა წინამორბედებმა აღზევებაც განიცადეს და დაცემაც. ორივეს ხელში ჩაადნა თავისი მშვენიერი გუნდი. ბოსთვის ეს შავი საქმე შორს უნდა იყოს, მაგრამ მთავარი აქ სხვაა.

მთავარი ამ შემთხვევაში დანიური საფეხბურთო სკოლაა, რომელიც აშკარაა, რომ ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ბოლო მეოთხედი საუკუნეა, ეს სკოლა სულ სხვაგვარ დონეზე მუშაობს. დანია ათობით მაღალი დონის მოთამაშეს აწვდის მსოფლიოს. ამათ შორის ვარსკვლავებიც არიან.

ძმები ლაუდრუპები. განა ამის გამო ბევრი ლაპარაკი შეიძლება? უფროსი თავის ხანგრძლივ კარიერას ამ კვირაში ასრულებს და კიდევ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. ამ კაცს ლამის ყველა ლეგენდარულ კლუბში უთამაშია. უმცროსი კი პირდაპირ საუცხოოა. აბა, წარმოვიდგინოთ, რომელ დიდ ნაკრებში წაახდენდა საქმეს ეს ფეხბურთელი? ანდა, მცველი მარკ რიპერი აიღეთ და ერთი წუთით ჩასვით ჟუნიორ ბაიანოს, ან ალდაირის ადგილას. უარესი ნამდვილად არ იქნება, თუ უკეთესი არა.

სკოლა და დანიელთა თანდაყოლილი ნიჭი დახვეწილი, ინტელექტუალური თამაშისა. აი, დანიელთა წარმატების საწინდარი. სადღეისოდ დანია არც სუპერგუნდია და არც დიდი გუნდი. ასეთად ის ოდესღაც ყოფილა. დანია საშუალო, განათლებული გუნდია, რომელმაც საუცხოოდ იცის ფეხბურთის ავან-ჩავანი.

თავის მხრივ, ნორვეგიაც ასეთი გუნდია, მაგრამ ნორვეგიულ ფეხბურთელებს დანიელთა საფეხბურთო ინტელექტის ნაგებას ნიშნავს და სხვას არაფერს.

იმ საღამოს სენ დენიზე მორბენალ ოცდაორ ფეხბურთელს შორის საუკეთესო ბრაიან ლაუდრუპი იყო. კაცს გააოცებდა ის სიმსუბუქე და მახვილგონიერება, ეს ფეხბურთელი რომ სთავაზობდა მაყურებელს. იგივ ჯეი-ჯეი ოკოჩას რომ შევადაროთ უმცროსი ლაუდრუპი, დავინახავთ, რომ მისი სათამაშო კლასი და გონება განუზომლად უკედაა მორგებული თამაშს, ვიდრე ნიგერიელთა გარემარბისა. არადა, ოკოჩაც, ასე ვთქვათ...

და დანიის ნაკრები მეოთხედფინალშია. არ იქნება არ გაგვახსენდეს ექვსი წლის წინანდელი ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც დანია შემთხვევით ჩაება და ოქროს მედლები კი მოიგო. ეს ძალიან უცნაური რამ იყო. ის დანიის ნაკრები კი გამორიჩეოდა ბრაიან ლაუდრუპის ჭკუითა და ფრიმენ პოულსენის დაუშრეტელი ენერგიით. ეს იყო საოცრად მოქნილი, შემპარავი გუნდი, რომელმაც ისე გაიარა მთელი ტურნირი, რომ სხვებმა ამოსუნთქვაც ვერ მოასწრეს და აქაც, სკოლაზე, ინტელექტზე და აკურატულობაზე გვიწევს ლაპარაკი.

ახლა, ბრაზილიელთა წინააღმდეგ რომ დადგება დანიის ნაკრები, ეს ყველაფერი კვლავ უჭირავს ხელში, შანსების 20 პროცენტთან ერთად. დანარჩენი 80 პროცენტი ბრაზილიისაა. თუმცა, ეს უკვე პროგნოზების სფეროა. პროგნოზები კი, როგორც შევთანხმდით, ჩვენი საქმე არ არის.

ეს კარგი მეოთხედფინალი იქნება. ბევრი ოფლი დაიღვრება და როგორც არ უნდა დამთავრდეს იგი, დანიის ნაკრები გათახსირებულ გუნდად არ გამოჩნდება.

ასეთია ამათი სკოლა.


# სარბიელი

**სპორტული ლატარია “CROCO”**

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მერვედფინალები

30 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არგენტინა — ინგლისი | (1,7-1,7) | 2,3 | 2,9 | 2,7 |
| რუმინეთი — ხორვატია | (1,7-1,7) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

რუსეთის ჩემპიონატი. მე-15 ტური

1 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალანია — როსტსელმაში | 1.8 | 3.0 | 4.0 |
| ურალანი — ჟემჩუჟინა | 2.0 | 3.0 | 3.3 |
| კრილია სოვეტოვი — დინამო | 2.1 | 2.9 | 3.2 |
| ბალტიკა — ლოკომოტივი | 2.0 | 2.9 | 3.4 |
| ტიუმენი — ზენიტი | 5.3 | 3.1 | 1.5 |
| სპარტაკი — ჩერნომორეცი | 1.3 | 3.4 | 7.0 |
| ცსკა — შინიკი | 1.7 | 2.9 | 4.0 |
| ტორპედო — როტორი | 2.5 | 2.9 | 2.5 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების შეტანის ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# შუმახერა

## ქუჩაში ნაპოვნი განძი

არ ვიცი, როგორ აფასებენ გორელი გულშემატკივრები „დილას" ადრინდელი მწვრთნელის მერაბ კოჭლაშვილის საქმიანობას, მაგრამ ამ კაცმა იქაურ ფეხბურთს რამაზ სოლოლაშვილი აღმოუჩინა და შემდეგ „შუმახერად" აქცია.

ეს იმ წლებში იყო, როცა „დილადან" ჯერ სამტრედიელი გრიგოლ ჭანტურია წავიდა, მერე კი თეიმურაზ ვოლკოვმაც თავის გზას ეწია.

რამდენიმე წლის შემდეგ, რიგრიგობით, „დილას" ორივე კი დაუბრუნდა, მაგრამ მაშინ გუნდი უმეკარეოდ იყო და საგონებელში ჩავარდნილი გორელი გულშემატკივარიც გამოსავალს ვერ პოულობდა.

რას აკეთებდა იმ დროს სოლოლაშვილი? რომ გითხარით, დღედაღამ ბურთსა და მეკარეობაზე ოცნებობდაო, არ იქნება მართალი. ჯერაც ნორჩი თანატოლებში ერთობოდა, ეზოებში ბურთს კი დასდევდა, მაგრამ ზოგჯერ სიგარეტსაც გაუსინჯავდა გემოს. მოკლედ, მეტწილად კარგ ხასიათზე მყოფი უდარდელად ცხოვრობდა.

კოჭლაშვილი შემთხვევით წააწყდა. ბიჭები სტადიონის გადაღმა პარკში ბურთაობდნენ, რამზიც ჩვეულად დახტოდა კუთხიდან კუთხეში. ამისგან კარგი მეკარე დადგებაო, გაიფიქრა მწვრთნელმა, ახალგაზრდას ხელი მოჰკიდა და ძირითად გუნდთან ერთად დაუწყო გაწვრთნა.

მხოლოდ ერთი თვე იმუშავს ინტენსიურად. ამის მერე სოლოლაშვილმა არც კი იცოდა, რა იყო ყოველდღიური წვრთნა. „დილას" პრეზიდენტები ხშირად ეცვლებოდა, გუნდიც თითქმის უხელფასოდ დარბოდა და ყოველდღე სავარჯიშოდ ვის ეცალა.

სოლოლაშვილი კი თამაშიდან თამაშამდე უმატებდა. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებულს წინსვლისთვის სათამაშო პრაქტიკა ჰყოფნიდა. ასე მოვიდა დღემდე, მაგრამ უკვე ხვდება, ასე გაგრძელება შეუძლებელია.

— დროა, წანწალს მოვრჩე და დიდი ხნით ხეირიან კლუბში დავფუძნდე, ისეთში, სადაც მეკარეს მწვრთნელი ეყოლება. მე ხომ, ფაქტობრივად, თვითნასწავლი ვარ. სპეციალისტის „ხელი" მაკლია.

სოლოლაშვილმა იპოვა სასურველი კლუბი. თავის დროზე მისით დაინტერესდა მურთაზ ხურცილავა, ახლა „დინამოს" რომ თავკაცობს და რამზიც დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს, სტადუხინი სიქას აცლის.

მეტსახელი შუმახერა კი თანაქალაქელმა ფანებმა შეურჩიეს. სადებიუტო მატჩში მათმა ახალმა მეკარემ თავი რომ გამოიჩინა, ერთ-ერთმა ქომაგმა წამოიძახა, ნახეთ, რა მეკარე გვყოლია, კარში შუმახერივით დგასო. იმ დღიდან სოლოლაშვილს ნამდვილ სახელს მხოლოდ ოჯახში ეძახიან. სხვები კი შუმახერას უწოდებენ.

## უიღბლოც და უსიტყვოც

აწ უკვე ჩავლილი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევებისას ახალგაზრდული ნაკრების მაშინდელ თავკაცს ვლადიმერ გუცაევს მეკარის პრობლემა შეექმნა. გვარამაძე მენისკის ოპერაციამ კარგა ხნით დაასვენა, მარტო ასლანაძის ამარა ნაკრები ვერ დარჩებოდა, ჰოდა, მაშინ შუმახერაც გაიხსენეს.

— ნაკრებში ხარ გამოძახებულიო, რომ მითხრეს, იმ დღეს მეორედ დავიბადე. ასე არაფერი გამხარებია. შანსი ერთხელ ეძლევა ადამიანს და მისი გამოყენების შნოც უნდა გაგაჩნდეს. თავდაუზოგავად ვემზადებოდი, არეცოში, იტალიელებთან გაჯიბრების სურვილი მკლავდა, მაგრამ ბედი არ მქონია. ვარჯიშზე თითი ისე ვიტკინე, ნახევარი სეზონი გამიცდა.

იტალიაში არნახულად დავმარცხდით. ექვსიდან სამი გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაგვიტანეს. რომ მეთამაშა, სამიდან ერთ პენალტს მაინც გავეთამაშებოდიო, თქვა გულნატკენმა მეკარემ.

თითის ტრავმა ისე გამიზეზდა, ლამის ფეხბურთი მიატოვებინა. ყველამ დაივიწყა, მკურნალობას ფული სჭირდებოდა, ფული კი ოჯახს არ გააჩნდა.

— თხოვნით ვერავის ვთხოვდი, შეიძლება ძალიან მიჭირდეს, მაგრამ თქმა მიძნელდება. საქმე სახვეწრად გამიხდა, უთქმელადაც ხედავდა ყველა, რა დღეშიც ვიყავი.

კიდევ კარგი, უიღბლობას დროზე მოეღო ბოლო. სოლოლაშვილი ნანავამ იპოვა და ზუგდიდში ჩაიყვანა. იქაც ადრინდელი განმეორდა, ისევ მოტყუება, ისევ უფულობა. თუ ადრე მარტო თავი უნდა ერჩინა, ახლა უკვე ოჯახსმოკიდებული კაცია, მეუღლის და ახალშობილი ქალიშვილის კეთილდღეობაზეც უნდა იზრუნოს.

მაინც არ უწუწუნია. ტანჯვით ჩაამთავრა გასული სეზონი. მისმა თავგანწირულმა თამაშმა „ოდიშს" არაერთი ქულა მოუტანა.

ამას წინათ ფეხბურთის ფედერაციასთან მდგომ სოლოლაშვილს ზუგდიდელი გულშემატკივარი გაესაუბრა, ფედერაციაში ყოფილიყო თავის საქმეებზე.

— რამაზ, როდის ჩამოხვალ ზუგდიდში?

— აწი წელიწადში ერთხელ მომიწევს ჩამოსვლა, ისიც „ოდიშის" წინააღმდეგ სათამაშოდ.

— არ გადამრიო, შენც წამოხვედი?

— არ გეწყინოს, ასეა. ცხოვრებას თავისი მიაქვს.

ოჰ, მაგათიო, ერთი კარგად შეიკურთხა უცნობმა და გულდაწყვეტილი თავის გზას ეწია. ვის აგინებდა, ვერ გავიგე, ისე არც დავინტერესებულვარ, მთავარი ის იყო, ვილაცას ზუგდიდიდან სოლოლაშვილის წამოსვლა რომ ეწყინა.

— იქნებ შიმშილით ვკვდებოდე და მაჭამეთო, ვერ ვითხოვ, მაგრამ ახლა მარტო როდი ვარ, ოჯახის პატრონი დღეიდან ყველგან კუთვნილს მოვითხოვ. დიდი ხანია, ბავშვი აღარ ვარ, საკმარისი გამოცდილებაც დამიგროვდა და თავს არავის მოვატყუებინებ.

ეს სიტყვები შუმახერამ შარშან გვითხრა, მაგრამ იგი რომ დიდად არ შეცვლილა, ქვემოთ მოყოლილიდანაც მიხვდებით.

ახალგაზრდული ნაკრები იტალიური შეკრებიდან დაბრუნდა თუ არა, შუმახერა დიღმის ბაზას მიადგა და ხურცილავას განკარგულებაში გადავიდა. მწვრთნელმა, ეს კაცი დატვირთეთო, ბრძანა. ფაქტობრივად, ორი ლამის უძინარს დატვირთვა არ მოკლებია. დღე დღეს მიჰყვა, ვარჯიში, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ კაცს ჭამა რომ უნდა, არა მგონია, დაუდგენელი ჭეშმარიტება იყოს. „დინამოს" მზარეულებს კი ეს რატომღაც დაავიწყდათ. შუმახერას ნასესხები ორიოდ ლარი კი მოეძევებოდა ჯიბეში, დილმურ ხაჭაპურსაც გაახლებოდათ, მაგრამ გათავდა ფული და დარჩა მშიერი. ითმინა, ითმინა და იმდენი ქნა, გამოიფიტა კაცი. ერთ დილას ლოგინიდან წამომდგარს გული წაუვიდა. კიდევ კარგი, მარტო არ იყო და მოაბრუნეს.

შუმახერას უთქმელობა დალუპავს. თავმდაბალი ბევრჯერ დაჩაგრა ცხოვრებამ და კიდევ არაერთ გამოცდას მოუმზადებს. ეს კიდევ გაიძახის, ვერ ვითხოვო. მთელი ქვეყანა მათხოვრად ქცეულა, კაცმა ოღონდ თავი გაიტანოს და ყველაფერზე წავა. კუთვნილის მოთხოვნა კი არა მგონია, სირცხვილი იყოს.

## გაუშვი რა, შუმახერ

ეს სამი წლის წინანდელი ამბავიც სინამდვილეა. რუსთაველები გორში სტუმრობენ. „მეტალურგი" უეფას თასზე გასვლას ლამობს. „დილას", როგორც ყოველთვის, სამი ქულა დიდად არ სჭირდება. მერვე, ჰაჰა, მეცხრე ადგილი განაღდებულია.

რუსთაველები დაფაცურდნენ, საქმე მოაკვარახჭინეს და გორელებიც დაიყოლიეს „მეტალურგმა" უნდა მოიგოს, მაგრამ მასპინძელთა ბანაკში მხოლოდ გამოცდილი ფეხბურთელები არიან გაფრთხილებულნი, ახალგაზრდებმა არაფერი იციან.

არ იცის შუმახერამაც და თავგანწირვით იცავს კარს. დანიშნა მსაჯმა ერთი პენალტი გორელთა კარში, მაგრამ მეკარემ მოიგერია. დანიშნა მეორე და შუმახერა ისევ შეუდარებელია. მატჩი დასასრულს უახლოვდება, საყაიმო ანგარიში კი სტუმრებს ხელს არ აძლევთ. მსაჯმა მესამე პენალტიც გაუხერხა მათ, თან უთხრა, მე ამ საქმეში ხელები დამიბანიაო.

გორელთა მეკარე უკვე კარში აღარ დგებოდა. „დილას" ხელმძღვანელები კი ეხვეწებოდნენ, თუ ძმა ხარ, გაუშვი, შუმახერო.

— ვერ შევძელი, თორემ იმის აღებაც მინდოდა. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, ჩემს თამაშს ვთამაშობდი. რომც გავეფრთხილებინეთ, არ ვიზამდი. ჯერაც ბავშვი ვიყავი და ამგვარად დაწყება არ მსურდა.



შუმახერას ასე იოლად ვერ გაუტან

ასეთია შუმახერა. დიდი მომავლის მქონე თვითნასწავლი მეკარე, რომლის წრთობაც ახლაღა იწყება, ხოლო აქედან რა გამოვა, ჯერ მხოლოდ ღმერთმა უწყის.

„სოლოლაშვილი სოლიდურია ხაზზე, პოზიციურად ძლიერად თამაშობს და არც გამოსვლებზე გარეკა დაეწუნება" — გვითხრა მურთაზ ხურცილავამ, „დინამოს" თავკაცს კი ფეხბურთში ბევრი უნახავს.

ის ნიჭიერია, ვარჯიშიც უყვარს, ზედმეტი არ წამოსცდება და ზრდილობაც არ დაეწუნება. ვნახოთ, თუ გამოცდას გაუძლო, მალე ეროვნული გუნდის მეკარეებს კონკურენტი გამოუჩნდებათ. ამაში სპეციალისტებს ეჭვიც არ ეპარებათ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ქართველი მწვრთნელი ქინქის და ქეცბაას ნაქვალევზე

გაიოზ დარსაძემ სახელი თბილისის „ანცში", ბავშვთა ფეხბურთში, საქართველოს 16 წლამდე ნაკრებში და „რუსთავში" მწვრთნელობით დაიგდო. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, ის გახლავთ, რომ იგი ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი მწვრთნელია, რომელიც უეფას სერთიფიკატს ფლობს.

ცოტა ხნის წინ ინგლისში უეფას ლიცენზირებულ მწვრთნელთა საერთაშორისო სემინარი შედგა. მასში გაიოზ დარსაძეც მონაწილეობდა.

— ლონდონში უშუალოდ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორის ჰოვარდ ვილკინსონისა და რობინ რასელის მიწვევით დამკვირვებლის სტატუსით ვიმყოფებოდი. იქ გაიმართა უეფას ლიცენზირებულ მწვრთნელთა და მენეჯერთა სემინარი, სადაც გასული სეზონის შედეგები შეჯამდა. ბევრი რამ შევიტყვე იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც უახლოეს მომავალში გარკვეულწილად გარდაქმნის ბრიტანულ და მსოფლიო ფეხბურთს. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ როი ჰოჯსონი, კრისტიან გროსი, კარლოს ალბერტო პარეირა, ფრენკ კლარკი და სხვა ცნობილი სპეციალისტები არა მარტო პრემიერლიგის კლუბებიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც.

— როდესაც ლიცენზირებაზეა საუბარი, იგულისხმება სალიცენზიო სისტემის იერარქიულად — B, A და PRO კატეგორიებად დაყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი ჯერ B კატეგორიის ლიცენზიას უნდა ფლობდეს, რომელიც მას გარკვეულ დონეზე მუშაობის უფლებას აძლევს. შემდეგ ეძლევა უფრო მაღალი, A კატეგორიის ლიცენზია, PRO კატეგორიის სერთიფიკატი კი მწვრთნელის მოღვაწეობის უმაღლესი შეფასებაა. გარდა ამისა, არსებობს ეგრეთ წოდებული 2-3 დღიანი გამამხნევებელი კურსები, სადაც ჯამდება თეორიული და პრაქტიკული მასალები და შემდეგ ინფორმაციებს ცალკეული ქვეყნების საუკეთესო სპეციალისტები თავიანთ თანამემამულეებს აწვდიან.

სემინარში, რომელიც ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, უმთავრესად უეფა-ს პროგრამით გათვალისწინებულ A კატეგორიის ლიცენზირებაზე გამახვილდა ყურადღება. ეს ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა იყო. სემინარში მონაწილე მწვრთნელებს სპეციალური ბუკლეტები დავვირიგეს, რომლებიც ყველანაირ ინფორმაციას მოიცავდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს აღმზრდელობითი და საწვრთნელი პროცესები. A კატეგორიის სერთიფიკატის მნიშვნელობას მიეძღვნა კარლოს ალბერტო პერეირას; როი ჰოჯსონისა და სხვა სპეციალისტთა თეორიული ლექციები, რომელიც შემდეგ პრაქტიკულში გადაიზარდა. ინგლისში ყოფნისას შესაძლებლობა მომეცა, „უემბლიზე" ინგლისსა და საუდეთს შორის გამართულ ამხანაგურ შეხვედრას დავსწრებოდი.

როგორც აღვნიშნე, ლონდონში უშუალოდ ჰოვარდ ვილკინსონმა და რობინ რასელმა მიმიწვიეს და ძირითადად სწორედ ამ კურსების ხელმძღვანელ შტაბთან მიწევდა ურთიერთობა, თუმცა ინგლისის 16 წლამდე ნაკრების მწვრთნელ ჯონ პიკოკთან, კარლოს ალბერტო პარეირასთან, როი ჰოჯსონთან, რობერტო ლონგარეტისთან და სხვა პროფესიონალებთან ნაცნობობამ ბევრი რამ მომცა. იყო საინტერესო საუბრები პრემიერლიგისა და სხვა წამყვანი კლუბების სკაუტებთანაც. მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ სკაუტები, რომელთა უმეტესობაც ყოფილი მწვრთნელია, ცდილობენ, არ ჩამორჩნენ თანამედროვე ფეხბურთის განვითარებას და თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველაფერს აკეთებენ.

მეტად საქმიანი კონტაქტი მქონდა ლონდონის „არსენალის" სკაუტებთან, რომლებიც ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესდნენ. ამ სპეციალისტებთან ურთიერთობა ინგლისში მოთამაშე ჩვენი ლეგიონერების — ქინქლაძისა (თუმცა გიო უკვე „აიაქსის" საკუთრებაა) და ქეცბაიას ავტორიტეტმაც გამიიოლა. უპირველესად, რა თქმა უნდა, გიორგი ქინქლაძის ფაქტორმა იმოქმედა და აქედან გამომდინარე, მათ სურვილი გამოთქვეს, ჩვენი მოლაპარაკება მოლაპარაკებად არ დარჩეს და ყოველივე ეს პრაქტიკულად განხორციელდეს. თუმცა, შე-



დარსაძე „რუსთავის" სკამზე

საძლოა, წინააღმდეგობებსაც წავაწყდეთ, რადგან, როგორც ცნობილია, ბრიტანეთის შრომის სახელმწიფო დეპარტამენტი სამუშაო ვიზას არ აძლევს უცხოელ ფეხბურთელს, თუ მას ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მატჩების 75 პროცენტი არ ჩაუტარებია.

მე ბევრჯერ მომიხდა უეფას ეგიდით ჩატარებულ მწვრთნელთა სემინარებში მონაწილეობა, მაგრამ ეს უკანასკნელი წინამორბედთაგან მკვეთრად განსხვავდებოდა.

ლიცენზირება, ეს არის უეფა-ს მთლიანი პროგრამა, რომელიც უეჭველად უნდა დაინერგოს ჩვენში. ალბათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მოუწევს ამ პროგრამით ხელმძღვანელობა.

ლონდონში ყოფნისას იმაშიც გავერკვიე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს იგი საქართველოში, თუმცა ეს საკმაოდ რთული იქნება. ისევ და ისევ ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ წარვმართავთ ჩვენს საქმიანობას, როგორ ურთიერთობას დავამყარებთ არა მარტო უეფასთან, არამედ ცალკეული ქვეყნების საფეხბურთო ასოციაციებთანაც. ეს აუცილებელია, რათა ჩვენმა მწვრთნელებმა ესოდენ საჭირო გამოცდილება შეიძინონ. ერთმანეთში შერწყმული უცხოელი და ჩვენი სპეციალისტების შეხედულებანი, თანამედროვე პროცესების გათვალისწინებით, უდავოდ წაადგება ქართული ფეხბურთის განვითარებას.

**გიორგი ვაშაკიძე**

ლეგიონი „ბელენენსეშს" დაშორებული ქოქოშვილი ახალ კლუბს არჩევს

# გოჩაც იქ, სადაც არჩი დახვდება?

თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი გოჩა ქოქოშვილი ერთი ხანობა ვლადიკავკაზურ „ალანიაში", მერე დანიურ „ნესტვედში" და ბოლოს პორტუგალიურ „ბელენენსეშში" თამაშობდა.

„ბელენენსეში" გავარდა, მაგრამ რაკი გოჩას კლუბთან კონტრაქტი აღარ აკავშირებდა, პორტუგალიის ქვემო ლიგაში ასპარეზობა აღარ მოუწევს.

გოჩას თქმით, მისით პირენეელთა რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, როგორც პორტუგალიაში ისე ესპანეთში. ამათ გარდა, მას ჰოლანდიელებიც იწვევენ, მაგრამ ჯერ დაფიქრება, წინადადებათა კარგად აწონ-დაწონა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტა მართებს.

შესაძლოა, ქოქოშვილი, არჩილ არველაძის თანაგუნდელიც გახდეს, ცხადია, თუ ეს უკანასკნელი ბოლო ხანს გავრცელებულ ხმათა თანახმად შოტლანდიურ „რეინჯერსში" არ გადავიდა. გოჩა ქოქოშვილის შეძენის მსურველთა შორის ხომ აჩიკოს ახლანდელი კლუბი „ბრედაცაა".

პორტუგალიაში მარტოკა დარჩენილი ქოქოშვილი, ბოლოხანს ჩვენში მხოლოდ მის ახლობლებს თუ გაახსენდებოდათ, „ბრედაში" გადასვლის შემთხვევაში კი იქნებ ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა მხედველობის არეშიც მოხვდეს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

სამგურალი წყალტუბოდან ახლა ფეხბურთელებიც მიდიან

# კოლუაშვილი გერმანიაში, სტურუა ჯარში

„სამგურალის" მცველი რამაზ კოლუაშვილი გერმანულ „ჰომბურგში" გაემგზავრა. რეგიონალლიგის ამ გუნდში ბოლო დრომდე სამი ქართველი — ნიკა ჩხეიძე, რეზო არველაძე და კახა კაჭარავა ირიცხებოდა.

ამ გაზაფხულს „სამგურალს" განშორებია შემატული და საკმაო წარმატებით ნათამაშევი მეკარე ზვიად სტურუაც. წყალტუბოური კლუბის გარდა „სამტრედიისა" და აბაშის „ანჯელის" ყოფილი კარის დარაჯი არმიელებს მიუწვევიათ.

სტურუა გასაწვევი ასაკისაა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადასაც ალბათ თამაშ-თამაშ მოიხდის.

**იუზა ქაციტაძე**

## ინტერტოტოს თასი

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები. 28 29 ივნისი

INTERTOTO CUP

შემროკ როვერსი (ირლანდია) — ალთაი (თურქეთი) 3:2, 1:3
ორგრიტე (შვედეთი) — ეთნიკოსი (აშნა, კვიპროსი) 4:0, 1:2
დებრეცენი (უნგრეთი) — დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) 6:0, 4:2
ვორსკლა (უკრაინა) — ლეიფტური (ისლანდია) 3:0, 3:0
კონგსვინგერი (ნორვეგია) — ებიუ ვეილი (უელსი) 3:0, 6:1
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ნაციონალი (რუმინეთი) 1:2, 1:3
რუხი (პოლონეთი ) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) 2:2, 1:0
სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) — ბალტიკა (რუსეთი) 1:1, 0:4
ვოევოდინა (იუგოსლავია) — სტაბეკი (ნორვეგია) 3:2, 2:1
ლუნგბიუ (დანია) — დრაგოვოლიაცი (ხორვატია) 0:1, 4:1
პრადეც კრალოვე (ჩეხეთი) — ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) 2:1, 0:0
შლიმა (მალტა) — დიოშდიორი (უნგრეთი) 2:3, 0:2
სიონი (შვეიცარია) — ტურკუ (ფინეთი) 2:3, 1:0
ბობი (ბრნო, ჩეხეთი) — ვაგური (ფარერები) 3:1, 3:0
ტულევიკი (ესტონეთი) — სენტ გალენი (შვეიცარია) 1:6, 2:3
ოზეტა (ტრენჩინი, სლოვაკეთი) — დინაბურგი (ლატვია) 4:1, 1:1
ბაქი ფეხლესი (აზერბაიჯანი) — ინკარასი (ლიტვა) 1:0, 0:1
შემდეგ ეტაპზე პენალტებით ინკარასმა გაიდა
ოლიმპია (სლოვენია) — მაკედონია (სკოპიე, მაკედონია) 1:1, 2:4
ერებუნი ომენმენი (სომხეთი) — ტორპედო (ქუთაისი, საქართველო) 1:1, 0:6
ომაგ თაუნი (ჩრდილოეთ ირლანდია) — ტაურისი (სლოვაკეთი) 2:2, 0:1

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

# ასათიანმა ვაზაგაშვილი თვითმფრინავიდან ჩამოსვა



გიორგი ვაზაგაშვილი

ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი მცირედ და ოპერატიულად უკვე მიმოვიხილეთ, მაგრამ ეს შეჯიბრი ღირდა იმად, რომ კვლავაც მივტრიალებოდით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძოლები მართლაც დაძაბული და უშელავათო იყო — ჩემპიონატის მონაწილეთა შემადგენლობაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გახლდათ. საყოველთაო ინტერესს, ცხადია, 60 კგ წონითი კატეგორია იწვევდა. მართალია, საგარეჯოელდი გიორგი რევაზიშვილი ტატამზე არ გამოსულა, ასე რომ, გორელი გიორგი ვაზაგაშვილის ჩემპიონობა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ამ წონაში ბევრი ახალგაზრდა, იმედისმომცემი ძიუდოისტია და მათ სწორედ ძლიერთან ჭიდილში უნდა დაემტკიცებინათ თავისი ძალა. თუმცა ფავორიტმა იძალა და ახალბედებს იოლად გაუსწორდა.

**გიორგი ვაზაგაშვილს** გამარჯვება მივულოცეთ და უპირველესად ესპანეთის ევროპის ჩემპიონატზე წაუსვლელობის მიზეზი ვკითხეთ.

— საევროპოდ სრულფასოვნად ვერ მოვემზადე, ევროპის ჩემპიონატამდე არც ერთ ტურნირში არ მიმიღია მონაწილეობა და ეს პირველობაც ამიტომ გამოვტოვე.

**— კი მაგრამ, რატომ არ მოემზადე? ერთ-ერთი მიზეზი შენსა და ჯღანას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ხომ არ იყო?**

— არც უმაგისობაა, თუმცა ამაზე საუბარი აღარც კი მინდა. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ჩვენს შორის უძლიერესმა დაიკავოს 66 კგ-ში სანაკრებო ადგილი.

**— შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე წონა მოიმატე და 71 კგ-ში ოქროც მოიპოვე.**

— მაშინ შოთა ხაბარელმა მთხოვა და უარი ვერ ვკადრე. დღეს სხვა მდგომარეობაა, წონითი კატეგორიები შეიცვალა და, წონა რომ მოვიმატო, 73 კგ-ში უნდა ვიჭიდავო. ეს კი ჩემს ძალებს აღემატება.

**— ერთი ხანობა არცთუ უსაფუძვლო ლაპარაკი იყო, ვაზაგაშვილი უცხოეთში მიდისო...**

— ბერძნები მიწვევდნენ. მართალი გითხრათ, თვითმფრინავის ბილეთიც აღებული მქონდა. წასვლამდე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს შევხვდი. ბატონი კახი ყოველგვარი პრობლემის მოგვარებას შემპირდა და სიტყვაც შეასრულა. როგორც ხედავთ, ახლა აქ ვარ და წასვლასაც აღარ ვაპირებ.

60 კგ წონაში 34-მა ძიუდოისტმა იბრძოლა, ოღონდ ევროპის ჩემპიონის ნესტორ ხერგიანის გარეშე. თუმცა ფინალი კი მართლაც კარგი სანახავი გამოდგა და გივიაშვილის უზადოდ შესრულებული გდებით დასრულდა.

73 კგ-ში ტიტულოვანი სამბისტი ჯონდო მუზაშვილი ძიუდოისტთა ნაკრების ლიდერია და ჩემპიონატზეც საკადრისად იჭიდავა. ფინალში მისი მეტოქე თბილისელი სოსო ჯამბურიძე გახლდათ. მუზაშვილი მხარმტკივანი ჭიდაობდა და მაინცდამაინც არ ამწვავებდა ბრძოლას, თუმც ბოლოს ჯონდომ ჩვეულად გაიბრძოლა და სუფთადაც გაიმარჯვა.

ხუთი ბრძოლა გამართა 81 კგ-ის გამარჯვებულმა ლევან ციგრიაშვილმა და ხუთივე ნაადრევად დაასრულა.

90 კგ-ში ფინალისტების ვინაობა ძნელი გამოსაცნობი არ იყო. გია გუგავასა და გიორგი წმინდაშვილს არ გასჭირვებიათ გადამწყვეტ ბრძოლამდე მეტოქეთა ჩამოცილება. მაყურებელი დაძაბულ შეხვედრას ელოდა, მაგრამ რად გინდა, წმინდაშვილმა ტრავმა მოიმიზეზა და ოქროს მედალი უბრძოლველად დათმო.

100 კგ წონაში მხოლოდ 8 კაცმა მოიყარა თავი. ოქროსთვის ძველმა ნაცნობებმა მევლუდ ლობჟანიძემ და ივერი ჯიქურაულმა იბრძოლეს. ლობჟანიძის საუკეთესო წლებმა უკვე ჩაიარა, თუმც იგი არაფრის დათმობას აპირებდა და ტოლსწორად ეჭიდავა ჯიქურაულს. ივერიც საკადრისად დაუხვდა მეტოქეს და მსაჯების საბოლოო გადაწყვეტილებით გამარჯვება მას ხვდა წილად.

ყველაზე მძიმეთა შორის რამაზ ჩოჩიშვილს არ გასჭირვებია პირველობა. რატი ფერაძეს ფინალში, რომ იტყვიან, სალამის თქმაც არ აცალა, ისე გააკრა ტატამზე.

**სოსო კოტორეიშვილი**
**გურამ დოლენჯაშვილი (ფოტო)**



თემურ გივიაშვილი



ჯონდო მუზაშვილი



ლევან ციგრიაშვილი



გია გუგავა



ივერი ჯიქურაული



რამაზ ჩოჩიშვილი

## ტექნიკური შედეგები

60 კგ
1. თემურ გივიაშვილი (თბილისი)
2. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო)
3. მამუკა მახათაძე (ლაგოდეხი) და მერაბ ტეტუნაშვილი (გორი)

66 კგ
1. გიორგი ვაზაგაშვილი (გორი)
2. ბესიკ ორბელაძე (ზესტაფონი)
3. ქართლოს თედიაშვილი (საგარეჯო) და ილია ქოთოლაშვილი (ქარელი)

73 კგ
1. ჯონდო მუზაშვილი (მცხეთა)
2. სოსო ჯამბურიძე (თბილისი)
3. დათო ნადარია (თბილისი) და კობა თადიაშვილი (დუშეთი)

81 კგ
1. ლევან ციგრიაშვილი (თბილისი)
2. ივანე წივილაძე (თბილისი)
3. გივი შარიაშვილი (ყვარელი) და გიორგი ჭაბუკაშვილი (გორი)

90 კგ
1. გია გუგავა (თბილისი)
2. გიორგი წმინდაშვილი (თელავი)
3. ფრიდონ ყვავილაშვილი (რუსთავი) და ივანე გოგიშვილი (თბილისი)

100 კგ
1. ივერი ჯიქურაული (დუშეთი)
2. მევლუდ ლობჟანიძე (თბილისი)
3. კონსტანტინე აბულაძე (თბილისი) და იუზა ბოლქვაძე (თბილისი)

მძიმე
1. რამაზ ჩოჩიშვილი (გორი)
2. რატი ფერაძე (ზესტაფონი)
3. თენგიზ სინაურიძე (ქუთაისი) და ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი)






## WIMBLEDON'98

ორშაბათს ჯონ მაკინროი ისევ დაუბრუნდა უიმბლდონის ცენტრალურ კორტს, რომელიც ერთ დროს მის საჩოგბურთო გმირობათა მომსწრე ყოფილა, მაგრამ ამჯერად მსაჯთან მოდავე ამერიკელის ხრინწიანი ხმის ნაცვლად მაყურებლებმა სულ სხვა რამ მოისმინეს.



REUTERS ლონდონიდან

გორან ივანიშევიჩი

# აფეთქდით, სასარგებლოდ!

ორი წლის წინ მორიგ წვიმიან დღეს უსაქმოდ მოყურყუტე მაყურებლების გასართობად ტურნირის ორგანიზატორებმა იქვე ალმოჩენილ მომღერალს, კლიფ რიჩარდს მიმართეს და ამანაც მარტინა ნავრატილოვასა და პემ შრაივერის ვოკალური თანხლებით სახელდახელო კონცერტი გამართა. ამჯერად რიჩარდი ახლომახლო აღარ იყო და მოწყენილ ქომაგთა გამხიარულება უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა მაკინროიმ იკისრა. თავის დროის უდიდესმა შარისთავმა და მსაჯების რისხვამ პირდაპირ ცენტრალურ კორტზე გამართა პრესკონფერენცია, მერე კი სიმღერის ხასიათზე მოვიდა და ქოლგებს შეფარებული ხალხი ამერიკის ეროვნული ჰიმნის საკუთარი ინტერპრეტაციით დაატკბო. თუმცა, როგორც იტყობინებიან, მაკინროის მუსიკალური ნიჭი ბევრად ჩამოუვარდება მის საჩოგბურთო მონაცემებს.

მაკინროის კონცერტამდე და მის შემდეგ, როცა ლონდონური ამინდი ამის საშუალებას იძლეოდა, უიმბლდონზე ჩოგბურთსაც თამაშობდნენ.

საუიმბლდონო კენჭისყრის გამოცხადების დღიდან ყველა მოუთმენლად ელოდა დები უილიამსების სამერვედფინალო ჯახს. წლის მესამე საოჯახო დუელს ბევრი ალარაფერი უკლდა, მაგრამ სერენას მესამე წრის მატჩი ესპანელ ვირხინიძრუანო-პასკუალთან მოულოდნელი სცენარით წარიმართა: მესამე გეიმში 16 წლის ამერიკელი დაეცა და ქუსლის ტრავმა მიიღო. პირველი სეტის ბოლოს სერენას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, ფეხი შეუხვიეს და თამაშიც განახლდა, მაგრამ 7:5, 4:1-ზე ესპანელის სასარგებლოდ მეტად უცნაური რამ მოხდა: უმცროსი უილიამსი, რაკილა მიხვდა, წაგებას ვერსად წაუვიდოდა, მსაჯთან მივიდა, რაღაც წასჩურჩულა და კორტიდან ისე გავარდა, მეტოქისთვის ხელიც კი არ ჩამოურთმევია.

„თამაშის გაგრძელება კი შემეძლო, მაგრამ მომავალზე ხომ უნდა ვიფიქრო, რაღაც სისულელის გამო დაშავება სულაც არ მსურს. ხელი კი იმიტომ არ ჩამოვართვი, რომ, უბრალოდ, დამავიწყდა. ადრე მატჩი არასოდეს მიმიტოვებია და ამან ცოტათი დამაბნია" — განაცხადა სერენამ, მერე კი განმარტა, მამამ მირჩია, ჯანმრთელობა საფრთხეში არასოდეს ჩააგდოო და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ესეც დაამატა: „ჩემი თამაში ბალახისთვის ზედგამოჭრილია — მე მიყვარს სისწრაფე, აქ დაუბრკოლებლად ვმოძრაობ და მჯერა, რომ მალე უიმბლდონის ჩემპიონიც ვიქნები."

მანამდე კი უიმბლდონის მომავალ ჩემპიონს გაცდენილ რუანო — პასკუალს კიდევ ერთი უილიამსი ელოდება: ვინუსმა ფერით კოლეგათა დუელში თანამემამულე ჩანდა რუბინის 6:3, 6:4 დამარცხებით გაიკვალა გზა მერვედფინალში.

როგორც იქნა, კაცებმაც დაასრულეს მესამე წრე. ჩეხი დანიელ ვაცეკის 6:7 (6:8), 7:6 (7:4), 6:3, 6:4 დამარცხებით უიმბლდონზე მოგებათა მაღაზე მოსულმა ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა კარიერის მე-500 გამარჯვება მიითვალა და თავისი თამაში საშინელებათა ფილმებსაც შეადარა: „იგი ნამდვილი ტრილერებივითაა, არ იცი, რას უნდა მოელოდე. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ფილმს ვქმნი, მაგრამ დასასრული თავადაც არ ვიცი."

სწორედ ასეთი თავსატეხი მომენტი იყო მატჩში, როდესაც მეორე სეტში ვაცეკს ხორვატის მოწოდებაზე სეტ-პოინტი ჰქონდა. გორანმა დაახლოებით ერთი წუთი საკუთარი თავი ლანძღა, მიმწოდებლის მიცემული ბურთი უკან დააბრუნა, მერე ხაზთან მივიდა, თავი ჩვეულად ჩაჰკიდა და მშვიდად მოაწოდა მორიგი ეისი. ამის შემდეგ ყვირილის, ღრიალისა და იმედგაცრუების დრო უკვე ვაცეკს დაუდგა, ივანიშევიჩმა კი მატჩი დიდი გაწამაწიის გარეშე მიიყვანა გამარჯვებამდე, რაშიც ძირითადად 44 ეისი დაეხმარა (საკუთარ რეკორდზე ერთით ნაკლები): „დღეს შევეცადე მშვიდად მეთამაშა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მე მშვიდი არა ვარ. სჯობს, უბრალოდ, ჩოგანი დაამტვრიო და ამას გავაკეთებ კიდეც შემდეგ თამაშზე. როცა თავის შეკავების ნაცვლად პირდაპირ ფეთქდები, გაღიზიანებაც გივლის."

გაიმარჯვა ამ დღეს უიმბლდონზე მოასპარეზეთაგან ივანიშევიჩზე უკეთესი მაჩვენებლების მქონე ერთადერთმა ჩოგბურთელმაც. ხორვატის მსგავსად, უიმბლდონამდე მეტად უფერულად მოთამაშე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა აქ საბრძოლო ფორმა დაიბრუნა და ჯერ კიდევ შაბათს დაწყებულ და ამ დღესაც წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყვეტილ მატჩში შვედ ტომას ენკვისტს მოუგო 6:3, 7:6 (7:4), 7:6 (7:3). „არასოდეს მქონია ისეთი შეხვედრა სამ დღეს რომ გაგრძელებულიყო. ეს გრძელი, გრძელი უქმეები იყო" — განაცხადა პიტმა.

მესამე წრე. კაცები: რიჩარდ კრაიჩეკი (9, ჰოლანდია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 7:6 (7:2), 7:6 (7:4); სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — ფელიქს მანტია (16, ესპანეთი) 6:0, 7:6 (10:8), 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:4, 4:6, 7:6 (7:1), 6:4; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:3, 6:3; დევიდე სანგვინეტი (იტალია) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 3:6, 6:1, 5:7, 6:2, 6:1.

ქალები: იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:3, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) — სილვია პლიჩკე (ავსტრია) 7:5, 6:2; ირინა სპირლეა (10, რუმინეთი) — სურინა დე ბეერი (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:4; დომინიკ ვან რუსტი (15, ბელგია) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:1, 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ლონდონიდან

სერენა უილიამსი



# რატომ ანერვიულებთ მწვრთნელებს?

**ასკ 11:21 გუმარი**

ასკ: 1ლ. მაგრაქველიძე; 2ს. აბუსერიძე (2)

გუმარი: 3ლ. ობოლაძე, ჯაველიძე, აბაშიძე; 3გ. ურჯუკაშვილი (3)

გუშინ ავლაბარში, ასკ-ს სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის ორი ლიდერი შეხვდა ერთმანეთს.

ეს გუნდები სიმაღლითაც და ჯან-ღონითაც ერთმანეთის ტოლ-სწორნი არიან. მათ თითქოს შერკინებაც თანაბარი ჰყავდათ, თითქოს აუტებიც თანაბრად მოიგეს, მაგრამ ეს სალამო მაინც „გუმარისა" იყო. მათი კლასი აშკარად მაღალი გახლდათ — სწორედ ეს იქცა გამარჯვების საწინდრად.

სანახაობრივად არცთუ თვალწარმტაც თამაში „გუმარმა" პირველივე ტაიმში მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა და შეხვედრის ბოლომდე არც გაუშვია ხელიდან. ორივე გუნდი ძირითადად ძალისმიერი, ხისტი ბრძოლით ცდილობდა ფრონს გასვლას, თუმცა შიგადაშიგ არც ხელით თამაშს ივიწყებდნენ და მაშინ ლალი პაექრობა ჩაღდებოდა. ასეთმა სტილმა შედარებით გამოუცდელი და შეუთამაშებელი ასკ, რომელსაც თამაშის ორგანიზება უფრო უჭირდა, ვერაფრით იხეირა. მაქსიმუმი, რასაც მათ მიაღწიეს, ორი საჯარიმო იყო, რომლებიც ორჯერვე კარგად გამოიყენა ირაკლი აბუსერიძემ. გუმარიელები ბევრს კი უტევდნენ, მაგრამ მეტოქე დაცვაში ზუსტად, წესების დაცვით თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ „გუმარს" ამ შეხვედრაში საჯარიმოების დარტყმის საშუალება არ მისცემია. ამ ორმხრივი შეცდომებით აღსავსე მატჩში ორივე გუნდმა ერთობ ანერვიულა მწვრთნელები, თუმც თავისი დამრიგებლის მინდვრისგარეთა შეგონებანი ყველაზე უკეთ გუმარელმა აბაშიძემ აითვისა. „ბურძგლა" ლამის მთელი მატჩი სიზანტეს უკიჟინებდა, მაგრამ თამაშის მიწურულს შერკინებიდან გადმოვარდნილი ბურთი ისეთი სისწრაფით გაატანა მეტოქის ლელოსკენ, რომ მთელი ასკ უკან მოიტოვა. ამის შემდეგ თამაშის სადავეები ასკ-მ იგდო ხელთ და მაგრაქველიძემ ლამაზი ლელოც გაიტანა, თუმცა მისი გარდასახვა არმიელებმა ვერ შეძლეს.

**ირაკლი თავაძე**

# თბილისში დაპატიჟებულ ქუთაისელებს თამადა არ დახვდათ

გუშინ ვარკეთილში თსუ — „აიას" მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრა უნდა შემდგარიყო. წამოსვლის წინ ქუთათურებს რაგბის კავშირში დაურეკავთ და უთხოვიათ, იქნებ მატჩი შვიდის ნაცვლად ხუთ საათზე დავიწყოთო. საბოლოოდ შეხვედრის დაწყების დროდ ექვსი საათი დათქვეს. „აია" ვარკეთილში სამის ნახევარზე მივიდა. ორ საათში სტუდენტებიც გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილას. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, რაგბისტებმა მოთელვაც დაიწყეს. შესრულდა ექვსი საათი, შვიდი... მსაჯი კი არსად ჩანდა. ქუთაისელთა გუნდის უფროსის სოსო დიაკონიძის თქმით, გუნდი გვიან აღარ ითამაშებდა. შეიძლება ნორმალურ ვითარებაში ამ თემაზე სიტყვაც არ დაგვცდენოდა, მაგრამ ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში უთქმელობა არ იქნება. „აიას" მდგომარეობა ყველას კარგად მოეხსენება. გუნდი რის ვაი-ვაგლახით ახერხებს სტუმრად სათამაშოდ ჩასვლას. ახლაც ქუთათურები ნასესხები ფულით ჩამოვიდნენ და...

შეხვედრა გაურკვეველი ვადით გადაიდო. იმედია, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა სათანადოდ შეაფასებს მომხდარს და სტუმრებსაც ზარალს აუნაზღაურებს. ისე კი, როგორც წინა „სარბიელში" ვწერდით, ჩვენს რაგბს მკურნალობა სჭირდება, თანაც სასწრაფოდ. ასეთი ფაქტი პირველი არ გახლავთ. „აია" — „დინამოს" პირველი წრის შეხვედრაც ხომ მსაჯის ქუთაისში ჩაუსვლელობის გამო არ ჩატარდა.

**პაატა თოთაძე**



# ყოჩაღ, ბიჭებო!

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ბოლო მატჩი გამართა — გუშინ ჩვენები თურქმენეთის ეროვნულ გუნდს შეხვდნენ. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ გვითხრა, ბიჭებმა საკმაოდ იოლად, 102:80 სძლიეს მეტოქე და პირველი ადგილიც დაიკავეს. მხეიძე, ცხადია, კმაყოფილი იყო შედეგით და ტურნირის ორგანიზატორებიც კეთილი სიტყვებით მოიხსენია. ახლა ნაკრები თბილისში დაბრუნდება და აქ განაგრძობს მოსკოვის ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის მზადებას. ვფიქრობთ, ბაქოს ტურნირი ჩვენს კალათბურთელებს სასიკეთოდ წაადგებათ და რუსეთის დედაქალაქში გამარჯვებულის განწყობით ჩასვლაც არ იქნება ურიგო.

**გიორგი ბიძაშვილი**

## ბატისტუტამ და მისმა მეუღლემ ჰეთ თრიკი შეასრულეს

კვირას ბატისტუტების ოჯახში თოფი გავარდა — გაბრი[illegible]ის მეუღლე ირინამ ვაჟი შვა.

— ინგლისთან მატჩამდე ბიჭის დაბადებამ ძალიან გამახარა. შევეცდები შვილის მოვლენა გადამწყვეტი გოლის გატანით აღვნიშნო. თუმცა, თუ ასე არ მოხდა, ძალიანაც არ ვინანებ — განაცხადა ბედნიერმა მამამ.

ახლა არგენტინელთა უპირველესი თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა სამი ვაჟის მამაა. აქამდე მას ორი ბიჭი — ტიაგო და ლუკასი ჰყავდა, ახლა კი „ჰეთ თრიკიც“ შეასრულა.




თავიანთ უკეთურ თვისტომთა ბოროტი ნამოქმედარით დარცხვენილ-შეწუხებულმა ჰატიოსანმა გერმანელმა გულშემატკივრებმა მოძრაობაც კი წამოიწყეს დევიზით: „გერმანელი ფანები მალადობის წინააღმდეგ.“
ეს უკეთურება კი, გეხსომებათ, ფრანგი ჰოლიციელისთვის თავის გახეთქვა და სხვა ათასი უსაქციელობა იყო.

### გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია)

4 — გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), დავორ შუკერი (ხორვატია), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), ბებეტო (ბრაზილია), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჯუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), რივალდო (ბრაზილია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), ბრიან ლაუდრუპი (დანია), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტოჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)
1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

### ყვითელი ბარათები

*დანია* — რიპერი
*ხორვატია* — სოლდო
*რუმინეთი* — ფილიპესკუ
*იტალია* — მალდინი, დი ბიაჯო, მორიერო
*ბრაზილია* — სეზარ სამპაიო, ლეონარდო, კაფუ
*გერმანია* — ბაბელი, მათეუსი, ტარნატი, ჰამანი

*მერვედფინალების წინ ფეხბურთელებს ჯგუფურ ტურნირში მიღებული 2 გაფთხილება გაუნახევრდათ, თითო კი გაუუქმდათ.*

## იცით თუ არა, რომ...

...დანიის ნაკრები აქამდე თავისი არსებობის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატების მეოთხედფინალურ ეტაპზე არასოდეს გასულა. გუშინწინ ნიგერიის ნაკრების 4:1 დამარცხებით დანიელებმა, როგორც იქნა, გადალახეს მათთვის დღემდე დაუძლეველი ბარიერი და უძლიერეს რვა გუნდს შორის დაიბევეს ადგილი. მსგავსი წარმატების მიღწევის შანსი დანიის ნაკრებს 1986 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზეც ჰქონდა, მაგრამ მაშინ პრებენ ელკიაერ-ლარსენისა და მისი ამალის მერვედფინალიდან გამოთიშვა ესპანელებმა მოახერხეს.

* * *

...ნიგერიის ნაკრებმა მერვედფინალურ შეხვედრაში დანიელებთან 1:4 განადგურებით ერთგვარი რეკორდი დაამყარა. აქამდე ამ აფრიკულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ასეთი დიდი ანგარიშით არც ერთი მატჩი არ წაეგო. საგულისხმოა, რომ გუშინწინდლამდე ნიგერიელთათვის ყველაზე სამარცხვინო ჯგუფურ ტურნირში პარაგვაელებთან 1:3 მარცხი გახლდათ. ისე კი ნიგერიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე სულ ორჯერ — 1994 და 1998 წლებში იასპარეზა და ორჯერვე იძულებული შეიქნა, მერვედფინალიდან დაეტოვებინა ტურნირი. ორ მსოფლიოს პირველობაზე აფრიკელთა მიერ ჩატარებული მატჩების სტატისტიკა ასე გამოიყურება: ოთხი გამარჯვება, არც ერთი ფრე და ოთხი დამარცხება.

* * *

...საფრანგეთის ეროვნული გუნდის მცველი ლორან ბლანი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს გოლის გატანით თავის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა. შეგახსენებთ, რომ ბლანმა პარაგვაელებთან მერვედფინალურ შეხვედრაში 114-ე წუთზე გამოიჩინა თავი.

* * *

...საფრანგეთის ნაკრებმა გუშინწინ მერვედფინალურ მატჩში პარაგვაელების ძლევით მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მოგებული თამაშების სერია ხუთამდე გაზარდა. არადა, ამ ნაკრებს აქამდე მხოლოდ ზედიზედ ორ შეხვედრაში გაემარჯვა. ფრანგებმა თავიანთი ტრიუმფალური სვლა ჯერ კიდევ 1986 წელს დაიწყეს, როცა მექსიკაში გამართულ პირველობაზე მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბელგიელები 4:2 დაამარცხეს. ამის შემდეგ გუნდი 1990 და 1994 წლებში შესარჩევ ტურნირს ვერ გასცდა და იმ ჩემპიონატების გამოტოვება მოუხდა. წლეულს კი ფრანგებმა ოთხი გამართული შეხვედრიდან ოთხივეში იმარჯვეს.

* * *

...ინგლისის ნაკრებთან 1966 წელს 0:2 განცდილი მარცხის შემდეგ საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ოცი შეხვედრა გამართა და მათგან მხოლოდ ერთში ვერ მოახერხა ვერც ერთი გოლის გატანა. ეს 1986 წელს მექსიკაში გამართული მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალურ მატჩში მოხდა. მაშინ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულმა ფრანგებმა დასავლეთ გერმანიის გუნდათან 0:2 წააგეს. თითქოს ბედის ირონიააო, ფრანგები და გერმანელები შესაძლოა წლეულსაც, გადაეყარონ ერთმანეთს ნახევარფინალურ სტადიაზე. თუ, რა თქმა უნდა, იქამდე მიაღწიეს.

* * *

...პარაგვაის ნაკრები გახლდათ ის გუნდი, რომელმაც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე მეტად უერთგულა დაცვაზე აგებულ თამაშს. სამხრეთამერიკელებმა ოთხი გამართული შეხვედრიდან მხოლოდ ერთში მოახერხეს მეტოქის კარის დალაშქვრა, ხოლო თავად კი სულ ორი ბურთი გაუშვეს.

* * *

...დანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში სულ სამი გოლის გატანა შეძლო, ხოლო შემდეგ გუნდი გარდაიქმნა და მხოლოდ ერთ — მერვედფინალურ თამაშში თავის ოთხ-ჯერ გამოჩენით ფრანგებთან, საუდელებთან და სამხრეთაფრიკელებთან ნაჩვენები შედეგი ერთი ბურთით გააუმჯობესა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დანიელებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართულ არც ერთ შეხვედრაში არ დაუტოვებიათ მინდორი უგოლოდ. მათ უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე სულ ორჯერ იასპარეზეს და ჩატარებულ რვა მატჩში ჩვიდმეტი გოლის გატანა მოახერხეს.



საფრანგეთში წასვლის დრომ რომ მოატანა, პრინცი ჩარლზი და მისი უმცროსი ვაჟი, „არსენალის“ ფანი ჰარი კონტინენტს არა საგანგებო ავიარეისით ან სამეფო იახტით, არამედ იმ ჩვეულებრივი მატარებლით ესტუმრნენ, რომლითაც ამათი ქვეშევრდომები მგზავრობდნენ. პრინცის თქმით, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ პატარა უფლისწულს უფრო სრულად შეეგრძნო ჩემპიონატის ატმოსფერო.

ეს ფოტო კი ინგლის—კოლუმბიის შეხვედრის დროსაა გადაღებული. სამეფო ოჯახის წევრები კმაყოფილნი დარჩნენ შედეგით და მატჩის შემდეგ ინგლისელი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი გლენ ჰოდლი გასახდელშიც მოინახულეს.

## პენალტები

როგორც სტატისტიკა აჩვენებს, ამ ბოლო დროს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ფეხბურთელები თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმებს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ. ფაქტი ასეთია: ბოლო ორ მსოფლიოს პირველობაზე მოთამაშეებს 28 პენალტიდან არც ერთი არ გაუფუჭებიათ. თუ ამას 1990 წელს ზუსტად დარტყმულ ბოლო 10 თერთმეტმეტრიანსაც დავუმატებთ, მაშინ გამოვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე დანიშნული 38 პენალტიდან ფეხბურთელებმა ყველა ზუსტად გამოიყენეს.

გუშინ სერია შეწყდა — იუგოსლავმა პრედრაგ მიატოვიჩმა ბურთი ხარიხას გაარტყა.

წლეულს საფრანგეთში ჯგუფური ტურნირის მატჩებში მსაჯებმა 13-ჯერ მიუთითეს პენალტის ნიშნულისკენ და ცამეტივე დარტყმა უზადოდ შესრულდა. ოთხი წლის წინ ამერიკაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე კი სულ 15 თერთმეტმეტრიანი დაიდო და ფეხბურთელებს არც ერთ შემთხვევაში თავი არ შეურცხვენიათ.

ბოლო მოთამაშე, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პენალტი გოლად ვერ აქცია, იტალიელი ჯანლუკა ვიალი გახლდათ. ეს 1990 წლის 14 ივნისს მოხდა და მაშინ ვიალიმ აშშ-ის ნაკრების კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმიდან ბურთი კარის ძელს გაარტყა.

საინტერესოა, რომ წინა გამოუყენებელი პენალტი ერთი დღით ადრე, 13 ივნისს დაფიქსირდა. მაშინ ურუგვაის ნაკრების ფორვარდის რუბენ სოსას ყუმბარისებური დარტყმა ესპანელთა კარის ზედა ძელმა უკუაგდო.

უკანასკნელი მეკარე, რომელმაც მსოფლიოს პირველობებზე პენალტის მოგერიება მოახერხა, ამერიკელი ტონი მეოლა გახლდათ. მან ჯგუფურ ტურნირში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ფეხბურთელის მიხალ ბილეკის ჩანაფიქრი გამოიცნო და მისი დარტყმა გააუვნებელყო. ისე კი, უნდა ითქვას, რომ მეოლას გმირობამ მაშინ აშშ-ის ნაკრებს ვერ უშველა. ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა ის მატჩი 5:1 მოიგო, ხოლო თავად ბილეკმა მაინც გამოიჩინა თავი — ამჯერად მეორე პენალტი ზუსტად დაარტყა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29